ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 თებერვალი **სამშაბათი** 2012
№048 (13654) ფასი 80 თეთრი



## შერმადინის აფეთქება

ეროვნული ბიბლიოთეკა

12

# ალბანეთთან უნდა დავამტკიცოთ გამარჯვება გვემარჯვება!



## თემურ ქეცბაია

# ქალაქძეს მადლობა! ახალი კაპიტანი ხიზანიშვილია



## დევდარიანმა ორიდან ერთი კურდღელი აირჩია

# დინამო!

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს კი ახალი მწვრთნელი სჭირდება...

2-3



ეროვნული ნაკრები. პრესკონფერენცია

# მადლობა კალაძეს, ახალი კაპიტანი ხიზანიშვილია

## თემურ ქეცბაია: თაობათა ცვლა გარდაუვალი პროცესია

**გუშინ** ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წინასაალბანეთო შეკრება დაიწყო. პირველ ვარჯიშამდე იქვე გამართა პრესკონფერენცია ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ. ქართულ მედიასთან მისი ბოლო შეხვედრის შემდეგ საკმაო ხანი გავიდა და ეროვნული გუნდის თავკაცის პრესკონფერენციამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ქეცბაიასთან ერთად, ჟურნალისტთა წინაშე საქართველოს ნაკრების პრესსპიკერი ოთარ გიორგაძე და ჩვენი ეროვნული გუნდის მცველი გურამ კაშია წარდგნენ.



თემურ ქეცბაია

თემურ ქეცბაია: - ახლოვდება მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი და იქამდე დარჩენილი თითოეული ამხანაგური მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. 29 თებერვალს წლის პირველ შეხვედრას ჩავატარებთ და ყველას გვინდა, წელიწადი გამარჯვებით დავიწყოთ. ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელებს. მატჩისთვის მოსამზადებლად დღე-ნახევარი გვაქვს, მაგრამ შევეცდებით, ამ უმოკლეს დროში მოახლოებული შეხვედრისთვის სათანადოდ მოვემზადოთ. ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა და იმედია, ჩვენი შრომა და მონდომება შედეგს გამოიღებს.

**- კახა კალაძის ნაკრებიდან წასვლამ დღის წესრიგში ახალი კაპიტნის საკითხი დააყენა. ვინ იქნება ნაკრების კაპიტანი ალბანეთთან მატჩში?**

- ზურაბ ხიზანიშვილი.

**- კალაძის გადაწყვეტილებაზე რა კომენტარს გააკეთებთ?**

- უკეთესი იქნებოდა, კახა საფეხბურთო მოედნიდან გაგვეცილებინა, მაგრამ რადგან მან ასე გადაწყვიტა, ალბათ ასე ერჩივნა. კალაძე ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფეხბურთელია. მან ქართული ფეხბურთისა და საქართველოს ნაკრებისთვის ბევრი გააკეთა და ამისთვის მადლობა ეკუთვნის. მისი თანაგუნდელიც ვიყავი და მწვრთნელიც და მთელი ამ ხნის განმავლობაში კახა სამაგალითო იყო როგორც მოედანზე, ასევე მოედნის მიღმა. მისი წასვლა სამწუხაროა, მაგრამ ადრე თუ გვიან, ყველა მივდივართ – ზოგი ნაადრევად, ზოგიც დროულად.

**- გამოძახებულ ფეხბურთელთაგან ნაკრებს ტრავმის გამო ვინმე ხომ არ დააკლდება?**

- მოწვეული გვყავდა ლევან მჭედლიძე, რომელიც, სამწუხაროდ, დაშავდა და ალბანეთთან მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

**- ლევან ყენიას მდგომარეობა როგორია და უნდა ველოდოთ თუ არა მის თამაშს ალბანეთთან?**

- მას ვარჯიშზე დავაკვირდებით და ამის შემდეგ გადავწყვეტთ, ღირს თუ არა მისი მოედანზე გაყვანა. ყენიას ტელეფონით ვესაუბრე და მითხრა, რომ თავს ნორმალურად გრძნობს და სრული დატვირთვით ვარჯიშიც შეუძლია.

**- რამდენად კმაყოფილი ხართ იმ ამხანაგური მატჩებით, რომლებიც შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე დაინიშნა?**

- სამწუხაროდ, ყოველთვის ისე არ გამოდის, როგორც ჩვენ გვინდა – ძლიერი სპარინგპარტნიორის პოვნა არც ისე ადვილია. სწორედ ამიტომ, მოხარული ვარ, რომ თურქეთის დონის გუნდმა გამოთქვა ჩვენთან თამაშის სურვილი. როგორც იცით, თურქებს ავსტრიაში 24 მაისს ვეთამაშებით, შეკრებას კი 15 მაისს დავიწყებთ და ამდენი დღით ერთად ყოფნა თავის შედეგს გამოიღებს. არის იმის შანსი, რომ ავსტრიაში მეორე ამხანაგური მატჩიც ჩავატაროთ.

**- რამდენად რთული იქნება ძველი თაობის შეცვლა ახალგაზრდებით?**

- ნაკრებში სამუდამოდ ვერავინ ითამაშებს, თაობათა ცვლა გარდაუვალი პროცესია. ასე რომ, ვეტერანების შემცვლელები უნდა ვეძებოთ და იმედია, მათ ვიპოვით კიდეც.

**- კმაყოფილი ხართ თუ არა ნაკრებში კონკურენციის ხარისხით?**

- უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ, კონკურენცია ყველა რგოლში გვაქვს და ვინც მოედანზე გადის, იცის, რომ ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად დიდი ბრძოლა და შრომა მოუწევს. გვინდა, გაფართოებულ სანაკრებო სიაში რაც შეიძლება მეტი ძლიერი ფეხბურთელი გვყავდეს. მონდომებას არავის დავუკარგავთ, შესარჩევი ტურნირისთვის დაახლოებით 25-კაციანი ბირთვი უნდა გვყავდეს. დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება, სწორედ ესაა ჩვენი სარკე.

**- მეტოქეზე რას იტყვით?**

- ალბანეთს ყოველთვის მებრძოლი და არცთუ ისე ხელწამოსაკრავი ნაკრები ჰყავდა, არც ძლიერი ფეხბურთელები აკლდა. მათ წინააღმდეგ ბევრჯერ გვითამაშია და თუკი თბილისში სულ ვამარცხებდით, სტუმრად წარმატების მიღწევა ძალიან გვიჭირდა. ალბანელებს ახლაც ბრძოლისუნარიანი, ტექნიკური გუნდი და კვალიფიციური მწვრთნელი ჰყავთ.

**- როგორია ამ მატჩის რეგლამენტი? რამდენი შეცვლის უფლება გექნებათ და რამდენი ფეხბურთელი მოხვდება განაცხადში?**

- განაცხადში ყველა გამოძახებულ ფეხბურთელს შევიყვანთ და ექვსი ცვლილების უფლება გვექნება.

**- ჯანო ანანიძე როგორ ფორმაშია?**

- იმის მიუხედავად, რომ მოსკოვის "სპარტაკში" სათამაშო პრაქტიკა აკლია, ურიგოდ არ გამოიყურება. ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს.

**- როგორ შეაფასებთ ნაკრების ახალწვეულებს, ირაკლი ძარიასა და მამუკა კობახიძეს?**

- ახალგაზრდა და პერსპექტიული ფეხბურთელები არიან, საკუთარ კლუბებში თავი კარგად წარმოაჩინეს და ეს შანსიც დაიმსახურეს. ნაკრებში გამოძახება მათთვის დიდი სტიმული იქნება.

გურამ კაშია: - ბოლო ამხანაგურ მატჩში მოლდოვა დავამარცხეთ, რამაც დადებითი განწყობა შეგვიქმნა. ალბანეთთან იოლი შეხვედრა არ გველის, მაგრამ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ძალიან ძლიერი მეტოქეები გვერგო, მაგრამ ბრძოლა ყველასთან შეიძლება. შევეცდებით, ღირსეულად ვითამაშოთ და ჯგუფში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ.

წლის დასაწყისში მიღებული ტრავმა ბოლომდე მოვიშუშე, კოჭი თითქმის აღარ მაწუხებს და სათამაშოდ ასი პროცენტით მზად ვარ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ნაკრები სრულად დღეს შეიკრიბება

საქართველოს ნაკრებმა გუშინ საღამოს "ბასაზე" ივარჯიშა. მედიისთვის ვარჯიში მხოლოდ პირველი 15 წუთის განმავლობაში იყო ღია, თუმცა სიახლეების გაგება დროის ამ მონაკვეთშიც შევძელით.

გუშინ ნაკრებს სრული შემადგენლობით არ უვარჯიშია – იმ დროისთვის თბილისში ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოსულები **ლევან ყენია** და **დავით კვირკველია**, დანარჩენებმა კი სრული დატვირთვით ივარჯიშეს.

როგორც **თემურ ქეცბაიამ** პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხვალ საქართველოს ნაკრებს **ზურაბ ხიზანიშვილი** უკაპიტნებს, რაც შეეხება დღევანდელ განრიგს, საქართველოსა და ალბანეთის ნაკრებები "მიხეილ მესხზე" ივარჯიშებენ. ცნობისთვის, ალბანელები უკვე თბილისში არიან.

ლევან მჭედლიძის გამოკლების შემდეგ ჩვენი ეროვნული გუნდის სადღეისო შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: **ნუკრი რევიშვილი** (კრასნოდარი, რუსეთი), **გიორგი ლორია** (დინამო, თბილისი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი);

მცველები: **ზურაბ ხიზანიშვილი** (ქაისერისფორი, თურქეთი), **უჩა ლობჟანიძე** (კრივბასი, უკრაინა), **ალექსანდრე ამისულაშვილი** (კრასნოდარი, რუსეთი), **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **გია გრიგალავა** (ვოლგა, რუსეთი), **აკაკი ხუბუტია** (სამსუნსფორი, თურქეთი), **დავით კვირკველია** (ანორთოსისი, კვიპროსი), **მამუკა კობახიძე** (ზესტაფონი);

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი** (კარპატი, უკრაინა), **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მ, რუსეთი), **დავით თარგამაძე** (ილიჩევეცი, უკრაინა), **სანდრო კობახიძე** (არსენალი, უკრაინა), **შოთა გრიგალაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი** (ორივე – ზესტაფონი), **ლევან ყენია** (შალკე, გერმანია), **ირაკლი ძარია** (დინამო, თბილისი), **ჯაბა კანკავა** (კრივბასი, უკრაინა);

თავდამსხმელები: **ოთარ მარცვალაძე** (კრასნოდარი, რუსეთი), **ვლადიმერ დვალიშვილი** (პოლონია, პოლონეთი), **ნიკოლოზ გელაშვილი** (ბოხუმი, გერმანია).

**ლევან ჯანეზაშვილი**

დინამო



გიორგი დევდარიანი (მარცხნივ) და რომან ფიფია

# დინამო გიორგი დევდარიანს ახალ კონტრაქტს სთავაზობს

## ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერდი და წავედი!

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანი** იანვარში თბილისის "დინამოს" მთავარ მწვრთნელად რომ დაინიშნა, ერთ-ერთი უმთავრესი კითხვა სწორედ ნაკრებს შეეხებოდა – შეძლებდა ორი გუნდის ერთად გაწვრთნას, როდესაც თბილისელები ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ, 19-წლამდელები კი ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში სწორედ მისი ხელმძღვანელობით გავიდნენ?

ევრო- 2012-ის ელიტრაუნდზე ჩვენი ჯგუფის მატჩებს ხორვატია უმასპინძლებს და ბალკანელებთან და საქართველოსთან ერთად, ბოსნია და ავსტრიაც ითამაშებენ, ტურნირი კი 25-30 მაისს ჩატარდება. მანამდე გუნდს მოსამზადებელი ეტაპი და შეკრებები ელოდა - ანუ ზუსტად იმ დროს, როდესაც "დინამოს" ჩემპიონატში გადამწყვეტი მატჩების ჩატარება მოუწევდა.

მაშინ ამ კითხვაზე დევდარიანის პასუხი ასეთი იყო: *"ნაკრებს ელიტრაუნდზეც მე გავწვრთნი. საქმე ისაა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა ამ საკითხს გაგებით მოეკიდა და ზაფხულამდე 19-წლამდელების მწვრთნელიც ვიქნები".*

თუმცა, როდესაც ახალგაზრდა სპეციალისტმა თბილისის "დინამო" გადაიბარა, მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ზედიზედ სამი მატჩი მოიგო და ნაკრების დატოვება გადაწყვიტა. გუშინ გიორგი დევდარიანმა ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურთან საგანგებო განცხადება გააკეთა: *"ხანგრძლივი ფიქრისა და ანალიზის შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ ორივე საქმის ერთად კეთება - თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელობა და საქართველოს 19-წლამდე ნაკრების ხელმძღვანელობა ჩემს ძალებს აღემატება. ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი საკუთარი ნებით დავტოვო. ამიტომ, არ მინდა შევირცხვინო თავი, შევარცხვინო ჩემი ფეხბურთელები და ქართველი გულშემატკივრები. მაისში, ელიტრაუნდზე მე ჩემი სახსრებით გავყვები გუნდს ხორვატიაში და მათ გვერდით ვიქნები, თუ ეს რამეში დაეხმარებათ. მთელი ეს წლები, ვეცადე, ჩემი სამუშაო პირნათლად შემესრულებინა. გუნდი აწყობილი და ჩამოყალიბებულია და მგონია, რომ ჩემ გარეშეც დიდ წარმატებას მიაღწევენ ელიტრაუნდში".*

ამის შემდეგ გიორგი დევდარიანს უშუალოდ დაველაპარაკეთ: *"მოსვენება არ მომცა იმაზე ფიქრმა, რომ ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს. ნამუსიანად გაწეული შრომის მიფუჩეჩება არ მსურდა. განვითარებულმა მოვლენებმა გამოაჩინა, რომ ორივე საქმის ერთად კეთება შეუძლებელია. 19-წლამდელების თამაშები უეფას მიერ უქმად გამოცხადებულ დღეებში რომ ყოფილიყო, საქმე კიდევ გაადვილდებოდა, მაგრამ ტურნირი არაკალენდარულ დღეებში იმართება...*

*ელიტრაუნდზე კი ჩემი სახსრებით აუცილებლად გავემგზავრები და ვიდგები იქ, სადაც უნდა ვმდგარიყავი და 19-წლამდელებს მთელი ჩემი არსებით ვუქომაგებ. თუ გუნდში დანიშნული მწვრთნელთა შტაბი რამეს მკითხავს, აუცილებლად გავუზიარებ იმ ინფორმაციებს, რაც მე საკმაოდ დამიგროვდა. საკუთარ ვალდებულებადაც ვთვლი, ჩემს შემცვლელს ყველანაირი ინფორმაცია რომ მივაწოდო".*

დევდარიანის ხელმძღვანელობით "დინამომ" 100-პროცენტიანი შედეგი აჩვენა, 9-დან 9 ქულა მოიპოვა და ჩემპიონობის მოპოვების იმედი დაიბრუნა. როგორც გავარკვიეთ, წარმატებული მუშაობის გამო, გიორგის კლუბმა კონტრაქტი გაუხანგრძლივა და ნაკრებიდან მისი წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახდა: *"ვეცადე, ნაკრებში მემუშავა ისე, როგორც საქმე ითხოვდა. რა გამოვიდა აქედან, გულშემატკივარმა განსაჯოს. თუმცა ახლა "დინამოს" ხელმძღვანელობამ ჩემთან ახალი კონტრაქტის გაფორმების სურვილი გამოთქვა, ჩემს თავს კი ამ გამოწვევაზე უარის თქმის უფლებას ვერ მივცემდი".*

19-წლამდელთა ეს თაობა სწორედ დევდარიანმა წარმოაჩინა, ამ "ვაზის" გაზრდას წლები შეალია, მაგრამ ნაყოფის მოწევის მისია სხვას დაეკისრება.

თუმცა დევდარიანი სხვაგვარად, ფიქრობს: *"შედეგი მე კი არა, ქართულმა ფეხბურთმა უნდა მიიღოს. და თუ ნაყოფი იქნება, მე მოვიწევ თუ სხვა, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ფეხბურთელები გაიზარდონ და საქართველოს ღირსეული მოქალაქეები და შვილები გახდნენ. თანაც, 19-წლამდელების დიდი ნაწილი "დინამოშია", ბიჭებთან ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს და ვეცდები, ახალ მწვრთნელთან კარგად მომზადებულები გავუშვა. ასე რომ, ერთმანეთისგან შორს მაინც არ ვიქნებით და კიდევ ვიტოვებ იმედს, რომ ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ ადრე თუ გვიან, ერთმანეთს აუცილებლად გადავეყრებით".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● ვინ გაწვრთნის 19-წლამდელებს?

## კახა კაჭარავა: დევდარიანის შეცვლა არ შემოუთავაზებიათ

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გიორგი დევდარიანის გადადგომის შემდეგ გაჩნდა კითხვა - ვინ იქნება მისი შემცვლელი?

ბუნებრივია, პირველად ვიფიქრეთ, რომ ეს იქნებოდა **კახა კაჭარავა**, რომელსაც 19-წლამდელთა შემდეგი თაობა ფეხბურთის ფედერაციამ ახლახან ჩააბარა.

*"გიორგი გადადგა? ვინ გითხრათ, ჭორი ხომ არ არის? ახლა "დინამოს" დუბლების მატჩს ვესწრები და ჩემთვის არათუ ნაკრების გაწვრთნა და მისი შეცვლა არ შემოუთავაზებიათ, ეს ამბავი თქვენგან შევიტყვე. მოულოდნელი და მართლა საწყენი ამბავია. გიორგი თავის საქმეს მშვენივრად უძღვებოდა"*, – გვითხრა კაჭარავამ.

ფაქტია, რომ დევდარიანის სრულფასოვანი შემცვლელის მოძებნა ძალიან გაძნელდება, რადგან ეს გუნდი მან ააწყო და ნაკრების სხვა ყაიდაზე გადაწყობა სისულელე იქნება. მთავარია, 19-წლამდელებში დევდარიანის შემცვლელმა მისი სულისკვეთება შეინარჩუნონ და არ დაიწყოს ექსპერიმენტები. სამწუხაროდ, ეს ყველაზე წარმატებულ გუნდშიც კი ახალ მწვრთნელებს ახასიათებთ. უკვე გამზადებულ გუნდში ეს ნაბიჯი გაუმართლებელი შეცდომა იქნებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**



კახა კაჭარავა

● ლეგიონერი

## სანდრო კობახიძე: არსენალიდან წასვლაზე უარი ვთქვი

**სანდრო კობახიძე** თბილისშია და ეროვნულ გუნდთან ერთად ალბანეთთან ამხანაგური მატჩისთვის ემზადება.

... როგორც იქნა, უკრაინაში გადასვლიდან სამი წლის შემდეგ ეს ნიჭიერი ფეხბურთელი მოხვდა მწვრთნელთან, რომელიც ენდობა და ათამაშებს – კიევის "არსენალის" დამრიგებელმა **ლეონიდ კუჩუკმა** ინტერვიუში თქვა, რომ იჯარით დამატებული მოთამაშეებიდან მხოლოდ ორი დაიტოვა, მათ შორის კობახიძე. მიზეზი? ჩემი იმედები გაამართლაო.

უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში სპეციალისტებმა ახალი კობახიძე იხილეს – ისეთი, როგორც ჩვენ "დინამოდან" გვახსოვს, შემოქმედებითი, არაორდინარული და სასარგებლო.



განვლილი ეტაპის შეჯამებისას ქართველი "არსენალის" საკვანძო და ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მოთამაშედ დაასახელეს.

საქართველოს ნაკრებისა და კიევის „არსენალის" 24 წლის შემტევი ნახევარმცველი გუნდში საკუთარი მდგომარეობით კმაყოფილია: *"ვგრძნობ, რომ "არსენალის" მთავარი მწვრთნელი მენდობა და ძირითადისთვის ვჭირდები. მოსამზადებელ ეტაპზე თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკონტროლო მატჩი ამიტომაც მათამაშა. ფაქტია, რომ "არსენალის" შემადგენლობაში ჩავჯექი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მსიამოვნებს და ვცდილობ, მწვრთნელს იმედები გავუმართლო"*.

კობახიძეს კონტრაქტი დნეპროპეტროვსკის "დნიპროსთან" აკავშირებს. ამ კლუბში კი მხოლოდ დუბლებში იყენებდნენ და თავის გამოჩენის შანსი არ მიუციათ, მის ავ-კარგიანობა რომ შეეფასებინათ. ბოლო ორი წელია, სანდრო იჯარით გაუშვეს ჯერ კრივოი როგის "კრივბასში", შემდეგ კი "არსენალში".

თავი განსაკუთრებით ამ უკანასკნელში გამოიჩინა და ახლა კობახიძეს საქმე ასარჩევად ჰქონია: "არ დავმალავ, რომ ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე საკმაოდ საინტერესო შემოთავაზებები მქონდა – უკრაინული და სხვა ქვეყნების კლუბები დამიკავშირდნენ, მაგრამ წასვლისგან თავი შევიკავე. ზაფხულამდე კიეველებთან დავრჩები. გუნდიდან წასვლაზე ჯერ არც ვფიქრობ, რადგან კარგია იქ, სადაც კარგად ხარ, "არსენალში" კი თავს მშვენივრად ვგრძნობ".

სანდრო არ მალავს, რომ მისით თბილისის "დინამო" იყო დაინტერესებული: *"ჩემს ყოფილ კლუბთან მოლაპარაკება ადრე მქონდა, მაგრამ საქმე სერიოზულად განხილვამდე არ მისულა"*.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი



ირაკლი სირბილაძე

## სირბილაძის ნატვრა: შარშანდელზე მეტი გოლი!

**ირაკლი სირბილაძე** გასულ წელს ფინურმა კპვ-მ ამავე ქვეყნის უმაღლესლიგელ "იაროში" გაანათხოვრა. ირაკლიმ 15 მატჩში 9 გოლი გაიტანა და სპეციალისტების ყურადღება მიიქცია. ამ ყველაფერს ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა: შარშან აგვისტოში ფინეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბთან, ტურკუს "ინტერთან" წინასწარი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

29 წლის თავდამსხმელმა ახალ გუნდში ფინეთის ლიგის თასზე ოფიციალური შეხვედრაც ჩაატარა – სამიოდე დღის წინ „ინტერმა" ტურკუში ჰაკა-ს 2:0 სძლია, სირბილაძემ შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა, მაგრამ მოედანი უგოლოდ დატოვა.

*"კლუბს ძალიან კარგად შევეწყვე, რადგან აქ მეგობრული სიტუაცია დამხვდა, კარგი ბიჭები არიან და ბევრს დავუახლოვდი. კარგი მწვრთნელები მყავს და ჩემით ისინიც კმაყოფილები არიან. ასე რომ, არჩევანში არ შევმცდარვარ. ახლა ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს და ჩემპიონატისთვის ვემზადები. აქ იმდენად კარგი სავარჯიშო პირობებია, რომ თავს ფეხბურთელად ვგრძნობ, შეიძლება კარგად მომზადება და დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატს წარმატებით ჩავატარებთ. წლეულს კი ჩვენი მიზანი მინიმუმ ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაა"*, - ამბობს ირა ლი სირბილაძე.

ირაკლი 29 წლის არის და იმედოვნებს, რომ უკეთეს ლიგასა და გუნდში თამაშს ჯერ კიდევ შეძლებს: *"ფინეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდში ვარ. მაგრამ უფრო ძლიერ ჩემპიონატში თამაში მინდა. კარგად ვიცი, რომ ფეხბურთში მთავარია შრომა, მიზანმიმართული ვარჯიში და რეჟიმი. ამიტომ დამატებით ვვარჯიშობ. ისე უნდა მოვემზადო, რომ შარშანდელ ჩემპიონატზე ბევრად უკეთესი შედეგი ვაჩვენო. მიმაჩნია, რომ ფინეთში ჩემპიონატსა და ევროპის ლიგაზე ამის შანსი მომეცემა. ფინეთიდან კი კარგ კლუბში გადასვლა საკმაოდ რეალურია, ლამის ყველა მატჩს ევროპული კლუბების სელექციონერები ესწრებიან და მათ დასაინტერესებლად ყველაფერს გავაკეთებ.*

*სხვათა შორის, შესვენებისას თბილისში ავთო ბერიძესთან ვვარჯიშობდი. წინა წლებში ასე იყო. ამ პიროვნების დამსახურებაა, ფიზიკურად კარგად მომზადებული რომ ვარ. ფინეთში ჩასულმა პირველივე სატესტო გარბენზე გუნდში მეორე შედეგი ვაჩვენე, რაც მწვრთნელებს ძალიან გაუკვირდათ. ვიმეორებ, ეს არის ავთო ბერიძის დამსახურება"*.

**მერაბ მამულაშვილი**

● რეგიონი

## მარტვილის სტადიონი მალე მწყობრში ჩადგება

საქართველო გამართული საფეხბურთო ინფრასტრუქტურით ნამდვილად არ გამოირჩევა. სტადიონთან დაკავშირებული პრობლემები უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდს აქვს. ერთ-ერთი მათგანი მარტვილის ,,მერანია", რომელსაც ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ორი საშინაო („კოლხეთთან" და „მეტალურგთან" ) მატჩის გამართვამ ზუგდიდში, საფეხბურთო კლუბ „ბაიას" ხელოვნურსაფრიან მოედანზე მოუწია.

„მარტვილში სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ხუთი წლის წინათ, ,,მერანის" კერძო მფლობელის ხელში გადასვლის მერე დაიწყო. კლუბის პრეზიდენტ **ფრიდონ ინჯიას** მიერ ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და დღესაც კეთდება. მაშინ ინდივიდუალური სკამები დამონტაჟდა, შეკეთდა გასახდელები და მოგვარდა საშხაპეების პრობლემა. ვიცით, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტადიონის შემოღობვა, რათა უსაფრთხოების თვალსაზრისით პრობლემები არ შეგვექმნას. თუ ამინდებმა არ შეგვიშალა ხელი, სამუშაოები, დაახლოებით ერთ კვირაში დასრულდება" - გვითხრა კლუბის დირექტორმა **ელდარ ბაკურიამ.**

თუმცა, „მერანის" მთავარი საფიქრალი, მოედნის ხარისხის არასახარბიელო მდგომარეობაა, რომელზაც მეტოქეთა გუნდის წარმომადგენლებს არაერთხელ გამოუთქვამთ უკმაყოფილება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ელდარ ბაკურიამ ასეთი კომენტარი გააკეთა: *„ნებისმიერი გუნდის კოზირი საკუთარ არენაზე თამაშია. ჩვენი წარმატებული ასპარეზობის უმთავრესი სტიმული ხომ მარტვილელი ქომაგები არიან?! რაც შეეხება მოედანს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შეგვპირდა, რომ ამ პრობლემას ზაფხულისთვის მოგვიგვარებს. იმედია, მომავალი სეზონისათვის თანამედროვე სტადიონი გვექნება. ამჟამად, საფარი ნორმალურ მდგომარეობაშია"*.

შეგახსენებთ, რომ მორიგ კალენდარულ მატჩს „მერანი" სტუმრად, „ბაიასთან" 4 მარტს გამართავს, ხოლო მეორე წრის შეხვედრებს სავარაუდოდ შინ, მარტვილის ცენტრალურ სტადიონზე ჩაატარებს.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან



მარტვილის სტადიონი დღეს ასე გამოიყურება

● ფუტსალი

## ჩემპიონატი 11 მარტს დაიწყება

ფუტსალში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი სექტემბერში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ თებერვლის ბოლო იწურება და დღემდე მატჩიც არ ჩატარებულა. მიზეზი ცნობილია - ამ სახეობაში არსებული დაპირისპირება.

ჩემპიონატს ჩაშლა ემუქრებოდა, რის გამოც, მისი ჩატარება საკუთარ თავზე ფეხბურთის ფედერაციამ აიღო.

*"გადაწყდა, რომ ჩემპიონატი 11 მარტს დაიწყება და 19 მაისს დასრულდება. მონაწილეობას რვა გუნდი მიიღებს, რომლებიც ორ წრედ ითამაშებენ. სხვათა შორის, ბევრად მეტი მსურველი იყო: როდესაც ფუტსალში დატრიალებული მოვლენების გამო, საქმეში ფეხბურთის ფედერაცია ჩაერია და მისი პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა კლუბებს ფინანსურ დახმარებას, გადასახადისგან გათავისუფლებასა და ტრანსპორტირების საკითხების მოგვარებას დაჰპირდა, გუნდები შეგულიანდნენ, მაგრამ ჩემპიონი 19 მაისისთვის უნდა გამოვლინდეს, დრო არასაკმარისი იყო და ამჯერად 8 გუნდს დავჯერდით. მათგან 6 თბილისური კლუბია, ორიც რეგიონიდან - ქუთაისისა და თელავის.*

*თასის გათამაშებას კი ქუთაისი უმასპინძლებს, მაგრამ მისი ვადები ახლა ზუსტდება - ჯერ მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ფინალი 19 მაისის შემდეგ გაიმართება.*

*აქვე გეტყვით, რომ ფუტსალის ასოციაციის ყრილობა 10 მარტს გაიმართება. გამგეობაზე დამტკიცდა დღის წესრიგი - ერთ-ერთი უმთავრესი პრეზიდენტის ანგარიშის დატკიცება იქნება"*, - ამბობს ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრი **გიორგი დარჯანია.**

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

## XXI ტურის მიმოხილვა

აი, ამას კი მართლაც ვერავინ იფიქრებდა: დასავლეთ საქართველოში მოულოდნელად მოსულმა თოვლმა კვლავაც სერიოზული კორექტივები შეიტანა ჩვენ ჩემპიონატში. არადა, წესითა და რიგით (უფრო ზუსტად, კალენდრის მიხედვით) უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე 12-ვე გუნდს პირველი ეტაპის ბოლომდე თითო თამაშილა რჩებოდა და ამის მერე ყველაფერი გაირკვეოდა - ანუ ზედა რვა გუნდს ერთმანეთში ნათამაშები შედეგები „გადაჰყვებოდა" და ახალი ტურნირიც დაიწყებოდა, დანარჩენი ოთხი გუნდი კი პირველი ლიგის ოთხ საუკეთესო გუნდთან ერთად (განულებული ქულებით) უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოლებდა. თუმცა, ზედიზედ მეორე შემთხვევაა, უამინდობის გამო ტური რომ „არასრულად" ტარდება და საქართველოს ფეხბურთის საშეჯიბრო განყოფილებასაც გვარიანი თავსატეხი გაუჩნდა. მოგეხსენებათ, რომ ბოლო ტურის მატჩები 4 მარტს არის დანიშნული. ანუ, „ზესტაფონი" — „სპარტაკი", ყველა ვარიანტში, მანამდე უნდა ჩატარდეს; მაგრამ მანამდე ხომ საქართველოს ნაკრებს ამხანაგური შეხვედრა ელოდება ალბანეთთან (29 თებერვალს), სადაც „ზესტაფონის" ოთხი წამყვანი ფეხბურთელია მიწვეული?! ამას გარდა, ბოლო ტურამდე სხვა გამოტოვებული მატჩიც გველოდება, ყველა უდიდესი ინტერესით რომ ველოდებით: ერთიანად განახლებულ-გადახალისებულ-გაძლიერებულმა გორის „დილამ" რუსთავის „მეტალურგს" უნდა უმასპინძლოს (ეს შეხვედრა პირველ მარტს ჩატარდება). ჰო, მართლაც „განსაკუთრებული" პაექრობა გველოდება და დარწმუნებული ვართ, „დილა" — „გაგრას" მატჩის მსგავსად, „მცხეთა-პარკზე" ხუთშაბათსაც სრული ანშლაგი იქნება. ამ მატჩის შედეგს „დილასთვის" ხომ ექნება სასიცოცხლო მნიშვნელობა, არანაკლები ინტერესით დაელოდებიან სხვა გუნდებიც; თანაც, ხომ არ გგონიათ, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ „დილას" კონკურენტებს („კოლხეთი", „ვიტ ჯორჯია", „სპარტაკი") ვგულისხმობთ — საუკეთესო რვა გუნდში გორელების მოხვედრა „დინამოს" აწყობს, რასაც ვერ ვიტყვით „ზესტაფონზე" და ასე შემდეგ. მოკლედ, „რებუსები" თუ „ვირტუალური მსჯელობები" კვლავაც გრძელდება და ვიდრე პირველი ეტაპი არ დასრულდება, ვფიქრობთ, აზრიც არა აქვს იმაზე „მკითხაობას", თუ რომელი გუნდები დაუმშვენებს მხარს „ზესტაფონს", „დინამოს", „ტორპედოს" „მერანსა" და „მეტალურგს" (ალბათ, „ბაიასაც") მეორე ეტაპზე. არადა, დიდი იყო იმის ალბათობაც, რომ ყველაფერი თუ არა, გასულ ტურში ძალიან ბევრი რამ გარკვეულიყო, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საინტრიგო კვლავაც ბევრი დარჩა. ისე, ჩვენს ჩემპიონატს რასაც ვერ „წაართმევ", ინტრიგაა, — მართლაც უცნაური და ... კურიოზული რეგლამენტიც, ლამის არის, უკანა პლანზე გადასწიოს.

### ჩემპიონატის რეალური და ვირტუალური ცხრილები 28 თებერვლისთვის

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 20 | 15 | 3 | 2 | 39 | 15 | 48 |
| 2 | დინამო | 21 | 13 | 3 | 5 | 42 | 23 | 42 |
| 3 | ტორპედო | 21 | 13 | 3 | 5 | 33 | 19 | 42 |
| 4 | მეტალურგი | 20 | 9 | 6 | 5 | 23 | 21 | 33 |
| 5 | მერანი | 21 | 9 | 3 | 9 | 23 | 25 | 30 |
| 6 | ბაია | 21 | 7 | 4 | 10 | 20 | 26 | 25 |
| 7 | კოლხეთი | 21 | 6 | 7 | 8 | 19 | 24 | 25 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 21 | 6 | 7 | 8 | 23 | 26 | 25 |
| 9 | სპარტაკი | 20 | 6 | 5 | 9 | 18 | 25 | 23 |
| 10 | დილა | 20 | 6 | 4 | 10 | 24 | 25 | 22 |
| 11 | გაგრა | 21 | 6 | 3 | 12 | 20 | 30 | 21 |
| 12 | სიონი | 21 | 1 | 6 | 14 | 11 | 36 | 9 |

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 13 | 9 | 3 | 1 | 24 | 8 | 30 |
| 2 | მეტალურგი | 14 | 7 | 3 | 4 | 15 | 15 | 24 |
| 3 | დინამო | 14 | 6 | 3 | 5 | 27 | 21 | 21 |
| 4 | ტორპედო | 13 | 6 | 3 | 4 | 17 | 13 | 21 |
| 5 | მერანი | 13 | 5 | 1 | 7 | 13 | 16 | 16 |
| 6 | კოლხეთი | 13 | 3 | 4 | 6 | 11 | 17 | 13 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 13 | 3 | 4 | 6 | 11 | 17 | 13 |
| 8 | ბაია | 13 | 2 | 3 | 8 | 8 | 20 | 9 |

შენიშვნა: თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

*1. მოგებათა მეტი რაოდენობა;*
*2. ურთიერთშეხვედრები;*
*3. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;*
*4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*
*5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*
*6. ფეარ პლეი;*
*7. წილისყრა.*




# ამოუხსნელი რებუსი

### სამართლიანი თამაშის პრინციპ(ებ)ი

„იმას მოგება სჭირდება", „ამას... წაგებაც ურჩევნია", „იმისთვის სულერთია", „ამან ... სხვა გუნდისთვის უნდა იბრძოლოს",-აი, ასეთი და მსგავსი შინაარსის „განწყობა" იყო პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურის წინ. ჩემპიონატის „ნოვატორული" რეგლამენტიდან გამომდინარე, გუნდების უმრავლესობა მართლაც კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდა: მაგალითად, ზოგს ურჩევნია, რომ კონკრეტულ მეტოქესთან ახლა წააგოს, ზოგისთვის დარჩენილ შეხვედრებს აზრი არა აქვს და ასე შემდეგ. არადა, გასულ ტურში, სულ მცირე, სამი ისეთი მატჩი იყო, როცა ამა თუ იმ გუნდისთვის მარცხი არაფერს ნიშნავდა, სამაგიეროდ, მეტოქისათვის გამარჯვება, ფაქტობრივად, საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრას ნიშნავდა. საბედნიეროდ, სამივე შემთხვევაში სამართლიანი თამაშის პრინციპ(ებ)მა იზეიმა! თავისთვის არაფრის მომცემ მატჩში „სიონმა" არ წააგო „კოლხეთთან", არადა, სტუმრებს მოგება ჰაერივით სჭირდებოდათ; ქუთაისის დათოვლილ მოედანზე „ტორპედომ" ერთგული ქომაგები არ დაალალატა და ზემოტივირებულ „ვიტ ჯორჯიას" მხოლოდ ქულა გაატანა; ალარაფერს ვამბობთ მცხეთის მატჩზე: 17-18 წლის ბიჭებით დაკომპლექტებული „გაგრა" მედგრად დაუხვდა ერთიმეორეზე გამოცდილ და „ცნობადი სახეებით" გაძლიერებულ „დილას" და უშელავათო ბრძოლაში მინიმალური სხვაობით დამარცხდა. იმედი დავიტოვოთ, რომ პირველი ეტაპის ბოლო ტურამდე დარჩენილი ის ორი გამოტოვებული შეხვედრაც ასეთივე სპორტული პრინციპების დაცვით ჩატარდება...

### სოლიდური განაცხადი

გასული ტურის შედეგებს ვირტუალურ ცხრილში განსაკუთრებული გადაადგილებები არ მოუხდენია, სამაგიეროდ „ჩვეულებრივში" მოხდა რამდენიმე გადაადგილება და, უპირველეს ყოვლისა, „დინამოს" მეორე ადგილზე ალზევება უნდა აღვნიშნოთ. ისე, ვერაფერს ვიტყვით: გიორგი დევდარიანის ხელმძღვანელობით „დინამომ" ზედიზედ სამი მატჩი მოიგო (მეორე შემთხვევაა ამ სეზონში) და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის თამაშის ხარისხი ტურიდან ტურამდე უმჯობესდება. ახლაც, გასულ ტურში, „დინამომ" მთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა და მეტოქის კარში ხუთი გოლი გაიტანა. ალსანიშნავია, რომ ჩემპიონატის სტარტიდან პირველად მოხდა, „დინამომ" ასეთი ანგარიშით (5:1) რომ გაიმარჯვა. ახალი მწვრთნელი უკვე ვახსენეთ და ნურც სხვა ფაქტორს დავივიწყებთ: ზამთრის სატრანსფერო კამპანია გუნდმა მართლაც ჩინებულად წარმართა და ყოველივე ეს, სასურველ შედეგთან ერთად, თამაშის ხარისხზეც აისახა! ეგ კი არა, „დინამოს" მალე ტრავმირებული ფეხბურთელებიც რომ დაუბრუნდებიან, ამ გუნდის რეალურ ძალას მაშინ დავინახავთ. გუნდის ერთგული ქომაგებიც, რაღა თქმა უნდა, ოპტიმიზმით ელოდებიან მეორე ეტაპის დაწყებას და ამას გარდა, ნეიტრალური გულშემატკივრებიც სერიოზული საჩემპიონო კონკურენციის მოლოდინში იქნებიან.

### ბრუნდებიან, ბრუნდებიან...

... გასულ ტურის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა გორის „დილას" შემადგენლობაში მორიგი (თანაც, ცნობადი) ახალწვეულების გამოჩენა იყო! ალარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, უმნიშვნელოვანესი 3 ქულის მოპოვებაში ლომის წილი სწორედ ახალწვეულებმა რომ შეიტანეს: 20 წლის **გიორგი ილურიძის** აქტიურ თამაშს 23 წლის **მათე ვაწაძის** ზუსტი დარტყმა მოჰყვა. არადა, ვაწაძე ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა, მაგრამ „დილას" გამოცდილ თავკაცს **თემურ მახარაძეს** სხვა გზა არ ჰქონდა და „გაგრასთან" მატჩის მინურულს ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ყოფილი ფორვარდი მოედანზე შეიყვანა. ვაწაძემაც საგოლე ალლო კვლავაც შეგვახსენა: 2010 წლის 26 ნოემბერს „სიონთან" გოლით დაგვემშვიდობა და აი, საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებულმა პირველივე შეხვედრაში თავი ისახელა! უფრო კი არა, ბევრად ხანგრძლივი პაუზის მერე დაგვიბრუნდა **ლაშა სალუქვაძე**-30 წლის უნივერსალი მცველი აქედან 2005 წლის მარტში გაემგზავრა და რუსულ პრემიერლიგაში ერთიმეორეზე უკეთესი რამდენიმე სეზონიც ჩაატარა. და აი, ასეთი გამოცდილი ფეხბურთელი კვლავაც ჩვენთან ასპარეზობს და ალბათ, არც ის ფაქტი გაუკვირდა ვინმეს, თავისი ახალი გუნდი („დილა") კაპიტნის სამკლავურით სწორედ სალუქვაძემ რომ გამოიყვანა!

დაბოლოს, ტურის რჩეულზეც: 28 წლის **გოგიტა გოგუას** (ისე, როგორც „დინამოს" კიდევ ერთ ახალწვეულს **გიორგი მერებაშვილს**) ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობაზე სამართლიანი პრეტენზია რომ ექნებოდა, ადრეც ვივარაუდეთ. ჯერჯერობით ყველაფერი აქეთკენ მიდის: გოგუამ ამჯერადაც ჩინებული ბურთაობით დაამახსოვრა თავი ყველას და მეტოქის კარში გატანილ ლამის... ხუთივე გოლში აქტიური და უშუალო მონაწილეობა მიიღო! იმავეს თქმა შეგვიძლია „დინამოს" კიდევ ერთ ახალწვეულზეც: 24 წლის **ირაკლი ძარია** გუნდის შეუცვლელ ფეხბურთელად სულ მოკლე დროში იქცა და ნამდვილად არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, მეორე ეტაპის დაწყებიდან ზედიზედ მესამედ რომ მოხვდა „ლელოს" ტურის სიმბოლურ ნაკრებში...

**გია ტუხაშვილი**

ფოტო: www.fcdinamo.ge



გოგიტა გოგუა ტურის გამორჩეული ფეხბურთელი იყო

ფოტო: www.gagra.ge



ლაშა სალუქვაძე ეროვნულ ჩემპიონატს 7-წლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა

**P.S.** გუშინ გადაწყდა, რომ პირველი ეტაპის ბოლო ტურის მატჩები 4 მარტის ნაცვლად 6 მარტს ჩატარდება.

### ეროვნული ჩემპიონატი. XXI ტური

| | |
|---|---|
| დინამო-ბაია | 3:2 |
| მერანი-მეტალურგი | 0:2 |
| დილა-გაგრა | 0:0 |
| სიონი-კოლხეთი | 0:1 |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 2:2 |
| ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 21 | 16 | 3 | 2 | 60-19 | 51 |
| 2. ბაია | 21 | 13 | 3 | 5 | 47-27 | 42 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 21 | 11 | 4 | 6 | 43-27 | 37 |
| 4. ტორპედო | 21 | 10 | 6 | 5 | 44-26 | 36 |
| 5. სპარტაკი | 21 | 10 | [illegible] | 6 | 49-36 | 35 |
| 6. ზესტაფონი | 20 | 10 | 3 | 7 | 41-38 | 33 |
| 7. დილა | 21 | 9 | 3 | 9 | 28-38 | 30 |
| 8. გაგრა | 20 | 6 | 7 | 7 | 28-29 | 25 |
| 9. მეტალურგი | 21 | 6 | 2 | 13 | 29-46 | 20 |
| 10. კოლხეთი | 21 | 3 | 5 | 13 | 20-43 | 14 |
| 11. სიონი | 21 | 3 | 5 | 13 | 16-52 | 14 |
| 12. მერანი | 21 | 3 | 4 | 14 | 20-44 | 13 |

ჩელსი


მწვრთნელ-შეგირდს ერთმანეთის გაგება უჭირთ

# მწვრთნელის წინააღმდეგ

"ჩელსის" ნახევარმცველი **ფრანკ ლემპარდი** ადასტურებს, რომ მას და გუნდის მთავარ მწვრთნელ **ანდრე ვილაშ ბოაშს** იდეალური ურთიერთობა არ აქვთ, თუმცა იქვე აცხადებს, რომ ეს გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგებზე არ უნდა აისახოს. *"ვიცი, რომ ჩემსა და მწვრთნელს შორის ურთიერთობა იდეალური სულაც არ მოგეჩვენებათ და ეს მართალიც არის. დიახ, ჩვენ შორის აზრთა სხვადასხვაობაა და ეს ბუნებრივი მგონია, რადგან არავის უყვარს სათადარიგოთა შორის დარჩენა. ამჟამად გუნდისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება შევძლოთ. ამის ფონზე მწვრთნელისა და ფეხბურთელის დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ მეორეხარისხოვანია. ჩემპიონატის გარდა, რაც შეიძლება კარგად უნდა ვითამაშოთ ასოციაციის თასზე და ევროთასებზეც მაქსიმალურად შორს წავიდეთ. "ჩელსიში" უკვე 11 წელია ვთამაშობ, 33 წლის ვარ და მგონია, რომ მოვლენებს რეალისტის თვალით ვუყურებ. მე არ ვამტკიცებ, რომ ყველა შეხვედრაში თავიდან ბოლომდე უნდა ვითამაშო, მაგრამ თუკი სკამზე დავრჩები, იქიდან გუნდის წარმატებებს მაინც უნდა ვუყურო," – უთხრა ფეხბურთელმა "სქაი სპორტს".*

პრემიერლიგის 26-ე ტურში "ბოლტონთან" ფრენკის თამაშით აღფრთოვანებული დარჩა თავად ვილაშ ბოაში. პორტუგალიელი აუტსაიდერთან გამარჯვებით ლამის ეიფორიაში ჩავარდა: *"ვფიქრობ, გუნდზე ბოლოდროინდელი წარუმატებლობები განსაკუთრებულად მოქმედებდნენ. ფეხბურთელებს დიდი სურვილი ჰქონდათ მოგების და ჩვენ ეს მოვახერხეთ. ახლა მთავარია, წარმატება განვავრცოთ, ცხრილში ვითარება გამოვასწოროთ და ასოციაციის თასის შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. უახლოეს მატჩებში "ვესტ ბრომვიჩის", "ბირმინგემის", "სტოკ სიტისა" და "ნაპოლის" წინააღმდეგ სწორედ ასეთ სტილში ასპარეზობას ვისურვებდი. ამ მატჩის მოგება ჩვენი გულშემატკივრის თვალწინ უმნიშვნელოვანესი იყო. მათ დაიმსახურეს ეს სიხარული.*

*ლემპარდს თავისთავად უნდა ჰქონდეს პრეტენზია ძირითადში თამაშზე. მან დღეს ეს შანსი გამოიყენა და ძალიან ძლიერად ითამაშა. ამას მხოლოდ იმიტომ არ ვამბობ, რომ გოლი გაიტანა. ის მთელი თამაში გუნდისთვის მუშაობდა. ალბათ ყველას ესმის, რომ ჩვენთან დიდი კონკურენციაა. ნახევარდაცვაში 3 ადგილისთვის 6 ფეხბურთელი იბრძვის. ასეთ ვითარებაში კი გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის ძნელია".*

**ლევან ბიბილაშვილი**

საფრანგეთის ნაკრები



## რიბერი: ევროპის ჩემპიონობა მინდა!

გერმანიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის წინ, ფრანგთა ლიდერი **ფრანკ რიბერი** თავდაჯერებულია. *„ბრემენში მხოლოდ მოსაგებად ჩავდივართ, - განუცხადა მან ჩვენს გერმანელ კოლეგებს, - მერე რა, რომ ეს ამხანაგური შეხვედრაა. ნამდვილად არ მინდა, რომ მერე „ბაიერნში“ თანაგუნდელებმა ყოველდღე დამცინონ. უაღრესად მოტივირებული ვარ.“*

უფრო მეტიც: რიბერის ევროპის ჩემპიონატისთვისაც მხოლოდ უმაღლესი მიზნები აქვს: *„გული კარგს მიგრძნობს. მჯერა, რომ პოლონეთსა და უკრაინაში ძალიან კარგად ვითამაშებთ. ასე რომ, ვინც საფრანგეთის ნაკრებს ფავორიტად არ მიიჩნევს, ძალიან ცდება. პირდად მე მხოლოდ ევროპის ჩემპიონობა მინდა და ვიცი, რომ ტიტულის მოგება შეგვიძლია,“* - აცხადებს ფრანგი დრიბლიორი. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრებს 17-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

რიბერის აზრით, ევრო 2008-ზე საფრანგეთთან ერთად, მთავარი ფავორიტები ესპანეთის, ჰოლანდიის და გერმანიის ნაკრები გუნდები იქნებიან.

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთის ნაკრები

## დელ ბოსკეს არჩევანი: სამართალი თუ ტორესი

ესპანეთის ნაკრების თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** განაცხადა, რომ ძალიან გაუჭირდა ეროვნული გუნდის განაცხადიდან 27 წლის **ფერნანდო ტორესის** ამოგდება, მაგრამ საჭირო იყო. შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს, მალაგაში მსოფლიოს ჩემპიონი ვენესუელის ნაკრებს მასპინძლობს. დელ ბოსკემ პარასკევს დაასახელა „ფურია როხას“ 24-კაციანი სია, რომელშიც ტორესის ადგილი ვერ გამოიძებნა.

*„ძალიან მიმძიმს, რომ ფერნანდო სიაში არ ჩავწერე, მაგრამ მინდა ყოველთვის სამართლიანი ვიყო. ტორესი კი ბოლო დროს ძალზე არასტაბილურად თამაშობს. მასთან ყოველდღიური კონტრაქტი არ მაქვს, მაგრამ ფერნანდომ კარგად იცის, რომ შანსი, ევროზე ითამაშოს, კიდევ ექნება“,* - განუცხადა დელ ბოსკემ „ინდეპენდენტს“.

„ელ ნინიომ“ ესპანეთის ნაკრების მაისურით 91 თამაშში 27 გოლი გაიტანა, მათ შორის ევრო 2008-ის გადამწყვეტი გოლი ფინალში გერმანიის ნაკრების წინაალმდეგ.


მწვრთნელი და შეგირდი


ალვარო ნეგრედო

## ესპანეთს ნეგრედო დააკლდა

ისე, აღმოჩნდა, რომ **ვისენტე დელ ბოსკემ** სულ ტყუილად მოიმდურა **ფერნანდო ტორესი**, 24-კაციანი სიიდან მას 23 შერჩა, თანაც დაშავდა ფორვარდი - „ვალენსიასთან“ მატჩში მარცხენა ფეხზე კუნთი დაიზიანა „სევილიას“ თავდამსხმელმა **ალვარო ნეგრედომ**. ჯერ კიდევ დასადგენია, რამდენი ხნით დააკლდა ის ფეხბურთს, მაგრამ ცხადია - ვენესუელასთან მატჩში ნეგრედო ვერაფრით ითამაშებს. ნეგრედო ნაკრებთან ერთად რჩება, მის ნაცვლად კი დელ ბოსკე არავის დაამატებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

### უოლკერი [illegible]

ინგლისის ნაკრების შეკრებაზე არ გამოცხადდება "ტოტენჰემის" მარჯვენა მცველი კაილ უოლკერი. მართალია, მან "არსენალთან" შეხვედრაში ბოლომდე ითამაშა, მაგრამ შესაძლოა მცირე ტრავმა მიიღო. დაზუსტებით ამის თქმა ჯერჯერობით შეუძლებელია და სამწუხაროდ განმარტებასაც არავინ აკეთებს. რამდენიმე დღის განმავლობაში **სტიუარტ პირსმა** უკვე მეოთხე ფეხბურთელი დაკარგა. უოლკერამდე ამავე მიზეზით დააკლდნენ მას **ტომ კლევერლი, უეინ რუნი** და **დარენ ბენტიც**. პირსს მათ ნაცვლად შეკრებაზე ჯერ არავინ უხმია.

### არსენალი ეძებს

"არსენალი"-"ტოტენჰემის" შეხვედრა ისტორიულად პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი დაპირისპირებაა. ამის გათვალისწინებით, მატჩის წინა დღეს კლუბებმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს, სადაც ფანებს მოუწოდეს, არ გასცდენოდნენ ჩარჩოებს და თავიანთი გუნდებისთვის ისე დაეჭირათ მხარი. თუმცა ამ მოწოდებამ შედეგი ვერ გამოიღო. სტუმართა თავკაცს **ჰარი რედნაპს** "არსენალის" უცნობმა გულშემატკივარებმა შეურაცხყოფა მიაყენეს. ამასთან დაკავშირებით "მეთოფეთა" უსაფრთხოების სამსახურმა უკვე დაიწყო ჩანაწერების შესწავლა ამ ადამიანების ვინაობის დასადგენად, - იუწყება "ტელეგრაფი". სხვა წყაროების მტკიცებით კი, მინიმუმ ერთი ადამიანის ფოტო უკვე არის კლუბის განკარგულებაში. თავად რედნაპი კი ამ ფაქტს მშვიდად შეხვდა. *"ვილაც იდიოტმა თითების მოძრაობით ჩემი მიმართულებით სროლის იმიტაცია გააკეთა. დანარჩენები მის გარშემო კულტურულად იქცეოდნენ. არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა,"* – აცხადებს რედნაპი.

### ნაკრების მეკარე ადგილზე რჩება

ჩემპიონშიპის მეორეადგილოსანმა "ვესტ ჰემმა" ინგლისის ნაკრების კარის დარაჯთან, 32 წლის **რობერტ გრინთან** ახალი კონტრაქტის შესახებ მოლაპარაკება წამოიწყო. ფეხბურთელს "ჩაქუჩებთან" გაფორმებული ხელშეკრულება 2013 წლის ივნისში ეწურება. *"ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მოლაპარაკებები თანამშრომლობაზე ჯერ კიდევ მიდის. ლაპარაკი არ არის მხოლოდ გრინზე. თანამშრომლობის გახანგრძლივება ჩვენ რამდენიმე ფეხბურთელთან გვინდა",* - აცხადებს "ვესტ ჰემის" სპორტული დირექტორი **ბიგ სემი**.

**ლევან ბიბილაშვილი**

### ვილიარი: რა უცხოეთი?!

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ანხელ მარია ვილიარი** გამორიცხავს პრესაში გავრცელებულ ვარიანტს, რომლის თანახმადაც ესპანეთის თასის ფინალი 25 მაისს უცხოეთში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ორივე ფინალისტს, „ბილბაოსა“ და „ბარსელონას“ ფინალის თამაში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სურდა, მაგრამ „რეალმა“ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა - ზუსტად იმ დროს სტადიონზე საამშენებლო სამუშაოები მოიმიზეზა.

*„ესპანეთის თასის ფინალი ესპანური ფეხბურთის ზეიმია და, სანამ მე ვარ ფედერაციის პრეზიდენტი, ის მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში გაიმართება“,* - განაცხადა ვილიარმა.

### რონალდო: ევრო უნდა მოვიგოთ

„რეალის“ პორტუგალიელმა ბომბარდირმა **კრიშტიანო რონალდომ** განაცხადა, რომ მისი ნაკრების უმთავრესი ამოცანა პოლონეთ-უკრაინაში... ევროპის ჩემპიონობა იქნება. ოთხშაბათს პორტუგალიის ნაკრები ვარშავაში ამხანაგურად პოლონეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. შეგახსენებთ, პორტუგალიის ნაკრები „სიკვდილის ჯგუფში მოხვდა“ ევრო 2012-ზე - გერმანიის, დანიისა და ჰოლანდიის ნაკრებებთან ერთად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

 იტალიის ნაკრები

# აძურა დაირაზმა

## ჩეზარე პრანდელის 23 რჩეული


მიმდინარე სეზონში, ფაბიო ბორინის 7 გოლი აქვს გატანილი

**29 თებერვალს სანაკრებო შეხვედრების დღეა და ბუნებრივია, რომ სპარინგ-მატჩი იტალიის ეროვნულ ნაკრებსაც აქვს დაგეგმილი. ჩეზარე პრანდელის სამწყსო გენუაში აშშ-ს უმთავრეს გუნდს უმასპინძლებს და შეეცდება, რომ საკუთარი გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია მოახდინოს. დიახ, აპენინელებს სარეაბილიტაციოდ აქვთ საქმე და თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ ბოლო შეხვედრა იტალიელებმა ურუგვაის ეროვნულ ნაკრებთნ დათმეს, თანაც საკუთარ მოედანზე, რომში, ოლიმპიკოზე. მოკლედ, "აძურა" გამარჯვებაზეა დაგეშილი და ეს მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგური გახლავთ. ჯერ გადავხედოთ ჩეზარე პრანდელის მიერ გამოძახებულ შემადგენლობას და შემდეგ, რგოლების მიხედვით განვავრცოთ თემა...**

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მორგან დე სანკტისი (ნაპოლი), სალვატორე სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი), ემილიანო ვივიანო (პალერმო).

**მცველები:** ინაციო აბატე (მილანი), დავიდე ასტორი (კალიარი), ფედერიკო ბალცარეტი (პალერმო), ანდრეა ბარცალი (იუვენტუსი), ლეონარდო ბონუჩი (იუვენტუსი), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), დომენიკო კრიშიტო (ზენიტი, რუსეთი), კრისტიან მაჯო (ნაპოლი), სტეფან ოგბინა (ტორინო).

**ნახევარმცველები:** დანიელე დე როსი (რომა), ანდრეა პირლო (იუვენტუსი), რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა), ტიაგო მოტა (პსჟ, საფრანგეთი), ანტონიო ნოჩერინო (მილანი), კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი).

**თავდამსხმელები:** ფაბიო ბორინი (რომა), ალესანდრო მატრი (იუვენტუსი), ჯამპაოლო პაცინი (ინტერი), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).

### დაცვა

დაცვაში ყველაზე მეტი, ცხრა ფეხბურთელია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ **ჩეზარე პრანდელი** ფრთხილობს და თავს მაქსიმალურად იზღვევს. მარჯვენა ფრთაზე **კრიატიან მაჯოსა** და **ინაციო აბატეს** შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება – თუმცა, შესაძლოა ორივეს თითო ტაიმი დაუთმოს. მარცხნივ **დომენიკო კრიშიტოს** და **ფედერიკო ბალცარეტის** კონკურენციას ვიხილავთ, ცენტრში კი "იუვენტუსის" ფეხბურთელები არიან უკონკურენციოდ... **ჯორჯო კიელინი** პრანდელის ერთ-ერთი ფავორიტია და ძირითად შემადგენლობაში იქნება, მის მეწყვილედ კი სავარაუდოდ **ანდრეა ბარცალის** ვიხილავთ. **ლეონარდო ბონუჩი, დავიდე ასტორი** და **სტეფან ოგბინა** ამ ეტაპზე ღრმა რეზერვისტებად მოიაზრებიან და დიდია შანსი, არც კი მოუწიოთ თამაშმა.

აქვე აღვნიშნოთ, რომ კვლავ ვერ მოხვდა განაცხადში **ანდრეა რანოკია,** რომელიც "ინტერის" შემადგენლობაში არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება.

არადა, იყო დრო, როდესაც პრანდელი რანოკიას უფრო წყალობდა, ვიდრე იგივე ბონუჩის. სიის მიღმა დარჩა **მატია კასანი,** არადა, სულ ახლო წარსულში მარჯვენა ფრთაზე სწორედ მასზე კეთდებოდა აქცენტი.



ჩეზარე პრანდელიმ მარიო ბალოტელი განაცხადს მიღმა დატოვა

### ნახევარდაცვა

გამომდინარე იქიდან, რომ პრანდელის სიაში მხოლოდ ოთხი ნომინალური ნახევარმცველია, ცხადია, რომ სენიორ ჩეზარე აშშ-ის ნაკრებს 4-4-2 ტაქტიკას დაუპირისპირებს. ერთის თქმა დიდი ალბათობით შეგვიძლია: **ანდრეა პირლო** ძირითად შემადგენლობაში იქნება და საყრდენი ნახევარმცველის როლს შეასრულებს. ამასთან, შეეცდება, რომ სიღრმიდან წარმართოს "აძურას" იერიშები. აი, დარჩენილი ნახევარმცველების გამოცნობა ერთობ რთული საქმეა, რადგან კონკურენცია საკმაოდ სერიოზულია...

**დანიელე დე როსი** დიდი ავტორიტეტის მქონე შუახაზელია და როგორც წესი, ძირითადში მოიაზრება, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც რაიმეს გადაჭრით თქმა გაგვიჭირდება. **ტიაგო მოტამ** საკმაოდ მალე აუღო ალღო ფრანგულ ჩემპიონატს, შესანიშნავ ფორმაშია და საერთოდაც, ბრაზილიური წარმოშობის იტალიელი პრანდელის ერთ-ერთი ფავორიტია. **ანტონიო ნოჩერინო** და **კლაუდიო მარკიზიო** რომ ბრწყინვალე სეზონს ატარებენ, ესეც კარგად მოგეხსენებათ და შესაბამისად, მათაც აქვთ სასტარტოში მოხვედრის ამბიცია. აი **რიკარდო მონტოლივოზე** კი რა გითხრათ, მას უბრალოდ ძალიან გაუმართლა, რომ იტალიის ეროვნულ ნაკრებს ჩეზარე პრანდელი უდგას სათავეში.

### თავდასხმა

ბევრისთვის მოულოდნელად, პრანდელიმ მხოლოდ ოთხი ნომინალური თავდამსხმელი გამოიძახა, რომელთაგან ერთი დებიუტანტია. **ფაბიო ბორინი** მხოლოდ 20 წლის გახლავთ, "რომას" შესანიშნავად შეეწყო, მიმდინარე სეზონში უკვე შვიდ გოლს მოუყარა თავი და ეროვნულ ნაკრებშიც დაიმსახურა ადგილი. უფრო სწორად, ბორინის შანსი მიეცა და თუ გამოიყენა, ვინ იცის, იქნებ ევროპის ჩემპიონატზეც ვიხილოთ. მით უმეტეს, ფაბიო ტექნიკურია და შესაძლოა, თვით **ანტონიო კასანოს** ალტერნატივადაც კი მოვიაზროთ. თუმცა, ასეთი დასკვნების გაკეთება და თუნდაც ვარაუდი, ჯერ მაინც ადრეა.

სიაშია **სებასტიან ჯოვინკო,** რომელიც "პარმას" უდავო ლიდერია და დღეს ალბათ უფრო ის მოიაზრება კასანოს შემცვლელად. **ალესანდრო მატრი** შესანიშნავ ფირმაშია და მისი გამოძახება არ გაგვკვირვებია, აი, **ჯამპაოლო პაცინი** კი ბოლო დროს მოიკოჭლებს და იყო ვარაუდი, რომ ამჯერად ნაკრებს მიღმა დარჩებოდა. პრანდელიმ სხვაგვარად გადაწყვიტა და პაცოს ნდობა რთულ მომენტში გამოუცხადა.

განაცხადს მიღმა დარჩა **მარიო ბალოტელი,** რომელზეც პრანდელიმ საგანგებო კომენტარი გააკეთა: *"მარიო არ გამოვიძახე, რადგან ბოლო პერიოდში, მისი თამაშით არცთუ კმაყოფილი ვარ. ამასთან, მისი ქცევა უკეთესის სურვილს ტოვებს და იქნებ, ნაკრებს მიღმა დარჩენამ მაინც გამოაფხიზლოს. ძალიან სამწუხაროა, რომ უნიჭიერესი ფეხბურთელი ასე უდიერად ეპყრობა ღვთისგან ბოძებულ ტალანტს".*

ნაკრებს მიღმა დარჩა **ანტონიო დი ნატალე,** არადა, პრანდელი მას ამერიკასთან თამაშისთვის გამოძახებას ჰპირდებოდა. ტოტოს ტრავმა ჰქონდა და მწვრთნელმა ამით იმართლა თავი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვეტერანმა ფორვარდმა სერია A-ს უკანასკნელ ტურში იასპარეზა და გოლიც გაიტანა. მოკლედ, მომდევნო სანაკრებო მატჩში გამოჩნდება, მართლა ტრავმის გამო არ იხმო ტოტო პრანდელიმ, თუ უბრალოდ გადაიფიქრა. განაცხადს მიღმა "აძურას" კიდევ არაერთი კანდიდატი დარჩა: **მარკო ბორიელო, პაბლო ოსვალდო** და თუნდაც **სიმონე პეპე,** რომელიც ასევე შემტევთა შორის უნდა მოვიაზროთ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს და დაველოდოთ იტალია-აშშ-ის მეტად საინტერესო პაექრობას.

დიდი მატჩის გამოძახილი


ეროვნული ბიბლიოთეკა
სალი მუნტარის მსაჯებმა გოლი წაართვეს

## ბუფონი: გუნდის ინტერესები სიმართლეზე მაღლა დგას

### ტიაგო სილვა მსაჯებს: რამ დაგაბრმავათ?

"მილანი"-"იუვენტუსის" დაპირისპირების საკვანძო ეპიზოდი **სალი მუნტარის** მიერ გატანილი გოლი გახლდათ, რომელიც მატჩის არბიტრებმა არ ჩათვალეს... გეცოდინებათ, მაგრამ მაინც ვთქვათ, რომ ბურთმა კარის ხაზი ნახევარი მეტრით მაინც გადაკვეთა, რაც ვერც მთავარმა მსაჯმა და ვერც ლაინსმენმა რატომღაც ვერ დაინახეს. ბუნებრივია, რომ ამ ამბავმა იტალიურ საფეხბურთო საზოგადოებაში უდიდესი რეზონანსი გამოიწვია. მატჩის მთავარ არბიტრს, **პაოლო ტალიავენტოს** და მის ასისტენტს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ თავს და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო... აი, რას ამბობს აღნიშნულთან დაკავშირებით "მილანის" ცენტრალური მცველი **ტიაგო სილვა:**

*"როდესაც მუნტარიმ თავით დაარტყა, მოედნის ცენტრში ვიდექი და იქიდან დავინახე, რომ ბურთმა აშკარად გადაკვეთა კარის ხაზი. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, თუ რატომ ვერ დაინახეს ეს არბიტრებმა. ეპიზოდი არაერთხელ ვნახე და განსაკუთრებული ინტერესით სწორედ მსაჯთა მოქმედებას ვაკვირდებოდი, ტალიავენტოც საკმაოდ ახლოს იდგა მოქმედების ადგილთან, ლაინსმენს კი იდეალური პოზიცია ეჭირა – ვერ ვხვდები რა მოხდა, ასე როგორ დაბრმავდნენ".*

იტალიაში ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც თვით **ჯანლუიჯი ბუფონი** გააკრიტიკეს – აქაოდა, უნდა ეღიარებინა გოლის ამბავი და ამით, ფეარ პლეის პრინციპები დაეცვაო – აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით "იუვენტუსის" კიპერი: *"სიმართლე გითხრათ, ჩემთვის პრიორიტეტული გუნდის ინტერესებია და დანარჩენი უკვე მეორე პლანზე დგას. დიახ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიმართლეზე წინ სწორედ ჩემი გუნდი დავაყენე, რადგან ეს სპორტია და აქ ყველანი მოთამაშეები ვართ. ამასთან, როდესაც ბრძოლაში ხარ ჩართული და დუღილის ტემპერატურა მაქსიმუმს აღწევს, იქ ანალიზის დრო, უბრალოდ, არ გრჩება. ისევ რომ დამაბრუნოთ იმ ეპიზოდში, იმავე გადაწყვეტილებას მივიღებდი".*

"მილანი"-"იუვენტუსის" პაექრობაში მსაჯებთან ერთად, **ფილიპ მექსემაც** გაგვაკვირვა – ერთ-ერთ ეპიზოდში, ფრანგი უკანახაზელი **მარკო ბორიელოს** მიეპარა და ტურინელთა ფორვარდს მუშტი უთავაზა... ტალიავენტომ, რა თქმა უნდა, ეს ვერ დაინახა, სამაგიეროდ, კამერებს არ გამოჰპარვიათ არაფერი და მექსეს საქციელი სააშკარაოზე გამოიტანეს. "ლეგა კალჩოს" სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ფრანგ მცველს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა, რაც იმას ნიშნავს, რომ მექსე საკუთარ გუნდს "პალერმოსთან", "ლეჩესთან" და "პარმასთან" მატჩებში ვერ დაეხმარება.

ინტერი



## რანიერი: მე რა შუაში ვარ?

უკვე მერამდენედ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ "ინტერი" შავ დღეშია და ამ საშინელ კრიზისს ბოლო არ უჩანს. **კლაუდიო რანიერის** გუნდი უმწეოდ გამოიყურება, მწვრთნელი კი ვერც გამოსავალს პოულობს და არც წასვლას აპირებს. "ნაპოლისთან" მარცხის შემდეგ, მილანური გრანდის მთავარი მწვრთნელი ჟურნალისტების წინაშე თავაწეული წარსდგა და მორიგი უცნაური განცხადება გააკეთა:

*"რას ვიზამდი, "ინტერის" პრეზიდენტი რომ ვიყო? – რანიერის ნამდვილად არ გავათავისუფლებდი, რადგან ეს ის შემთხვევაა, როდესაც მწვრთნელი არაფერ შუაშია. მართალია, ბევრი თამაში წავაგეთ, მაგრამ მთავარია, რომ კრიზისის დაძლევის მოტივაცია და სურვილი არ დაგვიკარგავს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება – მთავარია, ერთი თამაში მოვიგოთ და საკუთარი ძალების რწმენა დავიბრუნოთ".*

გვერდი მოამზადა **ლაშა წიკლაურმა**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIII ტურის გამოხმაურება

# გაუტეხელი ოტო მწარე რეალობაში

## ასეთ ჰერტას სამი რეჰაგელიც ვერ უშველის...



ოტო რეჰაგელი ღრუბლებიდან მიწაზე დაეშვა - ჰერტა მე-16 ადგილზეა

ჯიუტი კაცია **ოტო რეჰაგელი.** კარგად ხვდება, რომ „ჰერტას" მწვრთნელობაზე დათანხმებით თავს 73 წლის ასაკში მორიგი შარი აუტეხა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხს. შეუდრეკელია **ფრანკ რიბერიც** – „ბაიერნი" კრიზისიდან ისევ მას გამოჰყავს. მაგრამ ეს ყველაფერი არაფერია იმასთან შედარებით, რაც დორტმუნდში ხდება: იქ **იურგენ კლოპი** ახალ გერმანულ სუპერგრანდს ქმნის – პოლონური შტრიხებით.

### რიბერი პრობლემებს აგვარებს, რეჰაგელი - ვერა!

კვირას, ნაშუადღევს, „ბაიერნი"-„შალკეს" დაწყებამდე „შპორტ აინსის" სატელევიზიო თოქ-შოუში მიწვეული ექსპერტები ენამოსწრებულად, სიამოვნებით საუბრობდნენ „ბაიერნის" კრიზისზე და იმაზეც, რომ რეკორდმაისტერის მწვრთნელ **იუპ ჰაინკესსა** და ვარსკვლავ **ფრანკ რიბერის** შორის „შავმა კატამ გაირბინა". ცხადია, ამის მიზეზი ის იყო, რომ „ბაზელთან" მატჩის დროს, ფრანგმა ნახევარმცველმა „დონ იუპს" მოედნიდან გასვლისას ხელი არ ჩამოართვა. მოგვიანებით, რიბერიმ „შალკეს" დუბლი შეუსრულა, მოაგებინა, კრიზისიდან გამოიყვანა და რაც ყველაზე საინტერესოა, დემონსტრაციულად იზეიმა ჰაინკესთან ერთად.

„ბაიერნში" დაპირისპირების უარყოფამ და მიუნხენური კლუბის კრიზისიდან გამოსვლამ (ან გამოსვლის დასაწყისმა) დორტმუნდის „ბორუსიაზე" არ იმოქმედა – **იურგენ კლოპის** გუნდმა „ჰანოვერი" 3:1 დაამარცხა და მეორე ადგილზე ალზევებულ „ბაიერნთან" ოთხქულიანი დისტანცია შეინარჩუნა. „ჰამბურგთან" ულიმლამო 1:1-მა „გლადბახი" ისევ მესამე ადგილზე დააქვეითა და ლუსიენ ფავრის გუნდი კვლავ უსწრებს „შალკეს", რომელიც „ბაიერნთან" მარცხით ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშა (დროებით, თუ საბოლოოდ, ამას უახლოესი ტურები გვიჩვენებს).

მოკლედ, მიუნხენელები და გელზენკირხენელები ნაღდ კრიზისში, რა თქმა უნდა, არ არიან. ხაზგასმული კრიზისი დღეს სამ გუნდს აქვს: „კაიზერსლაუტერნს", „ფრაიბურგს" და „ჰერტას". ამ სამეულიდან ყურადღების ცენტრში ბერლინელები იყვნენ, სადაც წინა კვირაში მთავარი მწვრთნელის პოსტზე სიტყვაძვირი **ოტო რეჰაგელი** დაინიშნა. „მეფე ოტომ" **ლევან კობიაშვილის** გუნდს თავისი ხელი (ჯერ) ვერ დაატყო – „აუგსბურგთან" სამარცხვინო ნაგებამ „ჰერტა" სარელეგაციო მე-16 ადგილამდე დააქვეითა.

### რიბერიმ კითხვის ნიშნები მოსპო

რა აღარ იწერებოდა „ბაიერნზე" წინა კვირაში – რიბერი და ჰაინკესი ერთმანეთს ვერ იტანენო, შეტევაში კრეატივის ნასახიც აღარ ჩანსო, „ბაიერნი" აღარ არის ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი და აღარც ლიდერი ჰყავსო. ამის მთქმელნი კვირას საღამოს ტუჩებს დაიკვნეტდნენ – რიბერიმ ყველა მათგანი გააჩუმა.

ფრანგი პირველიდან ბოლო წუთამდე ყველაზე აქტიური იყო, ორი გოლი გაიტანა, ამათგან ერთის ნახვა ყველასათვის სავალდებულოა და ჰაინკესსაც ჩაეხუტა. კიდევ არის კითხვები?

### დორტმუნდის პოლონური სამკუთხედი

...მაგრამ, „შალკესთან" გამარჯვებით „ბაიერნი" ლიდერ „დორტმუნდს" ცხრილში ერთქულიან დისტანციამდე მხოლოდ რამდენიმე წუთით მიუახლოვდა. დორტმუნდელებმა რთული მეტოქე „ჰანოვერი" დამაჯერებლად (3:1) დაამარცხეს და „ბორუსიას" თავკაცი კლოპი პირველ რიგში თავის პოლონელ შეგირდებს უნდა უმადლოდეს. **იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ, ლუკაშ პიშჩეკმა** და **რობერტ ლევანდოვსკიმ** ბრწყინვალედ ითამაშეს და სწორედ ამ თანმიმდევრობით განხორციელებულ სუპერ-კონტრშეტევას მოჰყვა პირველი გოლი, რომელიც ლევანდოვსკის ანგარიშზეა. მხოლოდ თანმიმდევრობა შეიცვალა მეორე გოლის დროს, როცა რობერტმა დუბლი გაიფორმა. ამრიგად, „ლევანგოლსკიმ" მიმდინარე სეზონში გატანილი გოლების რაოდენობა 16-მდე გაზარდა, „კუბას" კი ახლა უკვე 8 საგოლე პასი აქვს.

### THE MISSION IMPOSSIBLE?

ოტო რეჰაგელმა ბერლინული მისია ომახიანი განცხადებებით დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ „აუგსბურგთან" 0:3-მა 73 წლის „მეფე ოტო" „მეცხრე ციდან" რეალობაში დააბრუნა, თამაშის შემდეგ მან იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და თქვა, უნდა გავილვიძოთ და გავილვიძებთ კიდეცო. არადა, „ჰერტა" უშუალო კონკურენტთან შერცხვენის შემდეგ უკვე მე-16 ადგილზეა.

რეჰაგელი იმით მაინც უნდა იყოს კმაყოფილი, რომ „ჰერტას" მინიმუმ ერთ ფეხბურთელს ნაღდად არ სძინავს – კაპიტან **ანდრე მიატოვიჩს** ვგულისხმობთ, რომელმაც საფინალო სასტვენის შემდეგ თქვა: *„თუ მომავალ მატჩებშიც ასე ვითამაშებთ, ერთი კი არა, სამი რეჰაგელიც ვერ გვიშველის და თუ გინდათ, ჟოზე მოურინიოც დაამატეთო."*

### ეშმაკები ჯოჯოხეთში

უკვე უმძიმეს მდგომარეობაშია „კაიზერსლაუტერნიც". პფალცელები მაინცში განადგურდნენ და ახლა ბოლოსწინა ადგილზე არიან. რაკი „ლაუტერნს" 13-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, კაპიტან **კრისტიან ტიფერტის** სიტყვები უკვე აბსოლუტურად ლოგიკურია – ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდესო. 30-ე წუთზე „მაინცი" უკვე 3:0-ს იგებდა და კაიზერსლაუტერნელმა ქომაგებმა შესვენებაზე ბანერი გაშალეს, რომელზეც ორი სიტყვა ეწერა: Kurz Raus! (კურცი გარეთ).

სხვათა შორის, „წითელი ეშმაკების" მწვრთნელ **მარკო კურცს** შაბათს ბანერი „მაინცის" ფანებმაც მიუძღვნეს, რომელზეც ეწერა *„კურცი ამედიკის ცოლთან დადის!"* აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც ინტერნეტსივრცეში მუსირებს ხმები, რომ „ლაუტერნის" ყოფილ ფეხბურთელ **მარტინ ამედიკს** ცოლმა ანიკამ მწვრთნელ მარკოსთან უღალატა. ჭორების მიხედვით, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ამედიკი სწორედ ამის გამო წავიდა იანვარში გუნდიდან. ახლა ის მეორე ბუნდესლიგაშია, სადაც ფრანკფურტის „აინტრახტის" ღირსებას იცავს.

კურცმა, ამედიკმა და თვით ანიკამაც, ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, უარყვეს...

### ჰარნიკი ჰუნტელაარს და გომესს მისდევს

ავსტრიელები კარგად დაფრინავენ ხოლმე, ოღონდ, არა ბურთით არამედ თხილამურებით. შტუტგარტის ავსტრიელი ფეხბურთელი **მარტინ ჰარნიკი** კი გამონაკლისია: 23 ტურის შემდეგ მას, ნახევარმცველს, 13 გოლი აქვს გატანილი და ექვსი საგოლე პასის მიცემაც მოასწრო. ამ ბოლო დროს კი ჰარნიკი სულაც დუბლს დუბლზე ასრულებს – ასე იყო „ფრაიბურგთანაც".

*„მჯერა, რომ მწვრთნელი მომდევნო ტურშიც ძირითად შემადგენლობაში მათამაშებს,"* - იხუმრა ავსტრიელმა შაბათს.

| საუკეთესო ფეხბურთელები | | |
|---|---|---|
| 23-ე ტურის სიმბოლური ნაკრები („კიკერი") | | |
| ფეხბურთელი | კლუბი | ს.მ.რ |
| 1. ტომ შტარკე | ჰოფენჰაიმი | 3 |
| 2. ლუკაშ პიშჩეკი | ბორუსია (დ) | 3 |
| 3. რადოსლავ ზაბავნიკი | მაინცი | 1 |
| 4. ფილიპ ვოლშაიდი | ნიურნბერგი | 4 |
| 5. ხალიდ ბულარუზი | შტუტგარტი | 4 |
| 6. ლარს ბენდერი | ლევერკუზენი | 3 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 7 |
| 8. მარტინ ჰარნიკი | შტუტგარტი | 3 |
| 9. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 6 |
| 10. მოჰამედ ზიდანი | მაინცი | 2 |
| 11. ტორსტენ იორლი | აუგსბურგი | 1 |

**შენიშვნა:** ს. მ. რ. - სიმბოლურში მოხვედრების რაოდენობა

**ტურის გმირი**

**ფრანკ რიბერი (ბაიერნი, III)**

**ლუის გუსტავოს** გრძელი პასი, რიბერიმ ბურთი „შალკეს" კარიდან უაზროდ გამოვარდნილ მეკარე **ტიმო ჰილდებრანდს** თავზე ეფექტურად გადაატარა და მერე კარში შეაგორა – 1:0. რიბერიმ **მიულერთან** მშვენიერი კომბინაცია გაითამაშა, შუისკენ შეიჭრა და მეორედ დალაშქრა ჰილდებრანდის კარი – 2:0. ორი გოლი, სამი ქულა - „ბაიერნი" ცოცხალია!

რიბერიმ რეკორდმაისტერს არა მარტო მოაგებინა, არამედ, „ფრაიბურგთან" უგოლო ფრის და „ბაზელთან" წაგების შემდეგ ატეხილი განგაში ჩააცხრო და „ბაიერნს" სიმშვიდესთან ერთად, სეზონის გადარჩენის იმედი დაუბრუნა.

| 21 ტურის შემდეგ, კიკერის შეფასებების მიხედვით | | |
|---|---|---|
| ფეხბურთელი | კლუბი | ს/შ |
| 1. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.35 |
| 2. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 2.48 |
| 3. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 2.61 |
| 4. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.70 |
| 5. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 2.70 |
| 6. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2.71 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 2.73 |
| 8. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.73 |
| 9. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.73 |
| 10. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 2.76 |

| გოლ პლუს პასის რეიტინგი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
| 1. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | 22 | 18 | 8 | 26 |
| 2. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 23 | 16 | 8 | 24 |
| 3. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 20 | 15 | 7 | 22 |
| 4. მარიო გომესი | ბაიერნი | 22 | 18 | 3 | 21 |
| 5. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 19 | 15 | 5 | 20 |
| 6. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 21 | 13 | 7 | 20 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 22 | 10 | 10 | 20 |
| 8. მარტინ ჰარნიკი | შტუტგარტი | 23 | 13 | 6 | 19 |
| 9. რაული | შალკე | 22 | 11 | 5 | 16 |
| 10. პატრიკ ჰერმანი | ბორუსია (მ) | 19 | 6 | 8 | 14 |

გერმანიის ნაკრები

# საფრანგეთთან კაპიტნის გარეშე

## ლამი და დორტმუნდელი ბენდერი ვერ ითამაშებენ, კლოზეც საკითხავია

ხვალ სანაკრებო ამხანაგური მატჩების დღეა და როგორც იცით, გერმანია საფრანგეთს ეთამაშება. ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ამ მატჩისთვის გამოძახებული ფეხბურთელების სია ჯერ კიდევ წინა კვირაში გამოაქვეყნა, მაგრამ მას მერე რაღაც-რაღაცები შეიცვალა: გერმანიის ნაკრებს ტრავმების გამო კაპიტანი **ფილიპ ლამი** (ბაიერნი) და დორტმუნდის „ბორუსიას" საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერი** გამოაკლდნენ. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლიოვმა განაცხადა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშაა **მიროსლავ კლოზეს** ასპარეზობაც. მიუხედავად ამისა, „იოგი" ახალ მოთამაშეებს არ უხმობს.

ლამის თამაში კვირას გამოირიცხა – ბუნდესკაპიტანმა „შალკესთან" მატჩში მცირე ტრავმა მიიღო. ლიოვს კვირასვე შეუთვალა უარი ბენდერმაც. მართალია, მერე გაირკვა, რომ სვენს სერიოზული ტრავმა არ აქვს, მაგრამ ლიოვის თქმით, საფრანგეთთან მისი თამაში სარისკო იქნებოდა, რის გამოც იოგიმ დორტმუნდელს სახლში დარჩენის ნება დართო. ამით გამოირიცხა ის, რომ ტყუპებს, სვენ და ლარს ბენდერებს (ლარსი „ლევერკუზენში" თამაშობს) გერმანიის ნაკრებში ერთად პირველად ეთამაშათ...

თუმცა ჩვენს გერმანელ კოლეგებს გუშინდელ პრესკონფერენციაზე პირველ რიგში ის აინტერესებდათ, ვინ შეცვლის ლამს დაცვის მარცხენა ფლანგზე და ხომ არ ათამაშებს ლიოვი „ვერდერის" მეკარე **ტიმ ვიზეს** – იმის გამო, რომ შეხვედრა ბრემენში გაიმართება. გერმანიის ნაკრების თავკაცმა ამ კითხვებს არ უპასუხა და მხოლოდ ის თქვა, რომ საკადრო საკითხებს ორშაბათს, მაგრამ გვიან გადაწყვეტდა. მცირე ტრავმა აწუხებს კლოზესაც, მაგრამ დიდია იმის შანსი, რომ მატჩამდე გამოჯანმრთელება მოასწროს. თუ კლოზე ითამაშებს, კაპიტნის სამკლავურსაც მოირგებს.

ლიოვს იმედი აქვს, რომ საფრანგეთთან შეხვედრა მისთვის ნაყოფიერი იქნება ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი პერიოდის თვალსაზრისით. ამ მატჩში იოგი შედეგს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს: *„2006 წლის მუნდიალის წინ იტალიასთან ამხანაგურ მატჩში 1:4 რომ დავმარცხდით, გერმანია ცრემლებით აივსო, მე კი ეს ძალიან არ მომეწონა. ასეთ ტესტმატჩებში შედეგს არ აქვს დიდი მნიშვნელობა – ფრანგებიც და ჩვენც დიდი ტურნირისთვის ვემზადებით და არ მინდა, რომ პრესამ ფეხბურთელები წნეხის ქვეშ მოაქციოს,"* - თქვა ლიოვმა, რომელიც საფრანგეთის ნაკრებს ძალიან ძლიერ გუნდად მიიჩნევს: *„ლორან ბლანის ხელში საფრანგეთის ნაკრები სტაბილური და ძლიერი გუნდია, ჰყავს შესანიშნავი დაცვის ხაზი და ბრწყინვალე თავდამსხმელები. მას მერე, რაც გუნდი ბლანმა ჩაიბარა, ფრანგებს*



ფილიპ ლამის არყოფნაში იოახიმ ლიოვი (მარცხნივ) ძირითადში სავარაუდოდ დენის აოგოს ათამაშებს

*პროგრესი აშკარად დაეტყოთ. დღეს ეს გუნდი რადიკალურად განსხვავდება იმ სამარცხვინო კოლექტივისგან, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვნახეთ. ჩემი აზრით, საფრანგეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ. შეგახსენებთ, რომ 2011 წელს წაუგებელი მარტო გერმანიის ნაკრები არ ყოფილა, შარშან არც ფრანგები დამარცხებულან."*

კითხვებზე, თუ რატომ არ იძახებს „ვერდერის" ნახევარმცველ **მარკო მარინს** და „გლადბახის" თავდამსხმელ **მაიკ ჰანკეს**, ლიოვმა ასევე არ უპასუხა და მხოლოდ ის თქვა, რომ ბუნდესგუნდის სამწვრთნელო შტაბი ნაკრების ყველა შესაძლო კანდიდატს გულდასმით აკვირდება. ამასთან, ლიოვმა ისიც არ გამორიცხა, რომ პოლონეთსა და უკრაინაში ლამის გარდა კიდევ ორი მარცხენა მცველი, დორტმუნდელი **მარსელ შმელცერი** და ჰამბურგელი **დენის აოგო** წაიყვანოს. ასეთი მიდგომა ლიოვს იმის საშუალებას მისცემს, რომ ლამი საჭიროების შემთხვევაში მარჯვენა მცველის პოზიციაზეც მოიაზროს – როგორც იცით, გერმანიის ნაკრებს ყველაზე მეტად სწორედ დაცვის მარჯვენა ფლანგზე უჭირს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIV ტურის შეჯამება

# ბარსას გამარჯვება დეპ გვარდიოლას კაპიტულაცია

## როცა არ იცი, სად ურტყამ, მეტოქეს საერთოდ წარმოდგენა არა აქვს, რა მოხდება

„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ლა ლიგას ვერ მოვიგებთ. ქულათა ჩამორჩენა ძალიან დიდია. ამიტომ ასეთი თამაშები გვაძლევს საშუალებას, ვიყოთ ის გუნდი, რაც ვართ“, - ეს სიტყვები ხოსეპ გვარდიოლამ მოგებული მატჩის შემდეგ თქვა! მოკლედ, 24-ე ტურის მთავარი მოვლენა, სტატუს კვოს შენარჩუნების მიუხედავად, ჩემპიონი გუნდის თავკაცის კაპიტულაციაა...

არადა, იყო შანსი „რეალს“ ფეხი დასცდენოდა, თან როგორი! მოკრძალებულმა „რაიო ვალეკანომ“ ნამდვილი დერბის სულისკვეთება დაანთო „ვალეკასზე“, „რეალს“ დაცვის მარჯვენა ფლანგი „მოუნგრია“, მაგრამ იკერ კასილიასის ბრწყინვალე თამაშისა და კრიშტიანო რონალდოს არაორდინარული გოლის წყალობით, 3 ქულა მაინც „რეალს“ დარჩა.

### ბარსა-რეალობა

„რეალის“ ოფიციალური ვებგვერდიც აღიარებს, რომ „სამეფო კლუბს“ „რაიო ვალეკანოსთან“ 3 ქულის აღება გაუჭირდა და რომ არა „ვალეკასზე“ გატანილი გენიალური გოლი, საჩემპიონო დოლი ალბათ უფრო საინტერესო გახდებოდა, მაგრამ კრიშტიანო რონალდო სხვაგვარად ფიქრობდა - **იოზილის** კუთხური ხეირიანად ვერ მივიდა ადრესატამდე, პორტუგალიელმა ბურთი მხოლოდ კარისგან მოშორებით და ისიც ზურგით მდგომმა მოიგდო, თუმცა რონალდოს არ დაუხანებია, ქუსლით დაარტყა და დაახლოებით 15 მეტრიდან გაიტანა.

„რაიო ვალეკანოსთან“ 1:0 გამარჯვება საიუბილეო იყო **ჟოზე მოურინიოსთვის**. ის ლა ლიგაში 62-ედ გაუძლვა „რეალს“ და 50-ე გამარჯვება მოაპოვებინა. 80,6% - ასეთია მწვრთნელის წარმატების რეიტინგი, ბრწყინვალე შედეგია. 50 მოგების გარდა, ჟოზეს „რეალმა“ 6 თამაში ფრედ დაასრულა და 6 წააგო. ბურთების სხვაობაც შთამბეჭდავია: 181:54. 50 მოგებით მოუ უკვე დაეწია **ფაბიო კაპელოს** ლა ლიგაში მოპოვებული გამარჯვებებით.

**პეპემ** ლა ლიგაში მე-100 მატჩი ჩაატარა.

„რეალმა“ 2009/10 წლების სეზონის მიღწევა გაიმეორა - ზედიზედ 9 გამარჯვება სტუმრად ლა ლიგაში.

ჟოზე მოურინიო: *„ამ სტადიონზე ქულების დაკარგვა იოლია. ბევრი იტყვის, რომ კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ეს „რაიოს“ დამსახურებაა. „რეალმა“ კარგად ითამაშა, მაგრამ მეტოქე ფანტასტიკური იყო. ძალიან გაგვიჭირდა, მეტოქეს გოლის გატანის ბრწყინვალე შანსები ჰქონდა. ჩვენ შეგვეძლო ინტრიგა კონტრშეტევებით მოგვეკლა, მაგრამ ვერ ვიყოჩაღეთ. თუკი ტიტულის მოგება გვსურს, ის უნდა მოვიგოთ ყოველ სტადიონზე, ყოველ თამაშში. სანდოვალმა გარისკა და დიდი ძალებით შემოგვიტია ბოლოს, მაგრამ ჩვენ სამი ქულა დიდ ბრძოლაში შევინარჩუნეთ“.*

მე-4 არბიტრთან დაკავშირებულ ინციდენტზეც ვთქვათ - ტელეკამერებმა დააფიქსირა მე-4 მსაჯთან ცხარედ მოკამათე მოუ. სარეზერვო არბიტრმა „განსაკუთრებულის“ ერთ-ერთი თანაშემწე, **რუი ფარია** გააძევა, მიზეზი კი ემოციის მეტისმეტად გამოხატვაა. სხვათა შორის, რუი ფარია ბოლო სამ თვეში მესამედ გააძევეს.

კიდევ უფრო მეტი სალაპარაკო „ვისენტე კალდერონის“ მატჩზე გვაქვს - ტურის ცენტრალურ მატჩში „ატლეტიკომ“ და „ბარსელონამ“ თვალსასეირო მატჩი აჩუქეს მაყურებელს, რომელიც შეიძლებოდა ყველა შესაძლო შედეგით დასრულებულიყო, რომ არა **ლეო მესის** გენია. მატჩის დასასრულისკენ მან წამებში შეაფასა სიტუაცია, ისარგებლა იმით, რომ მსაჯს არ ჰქონდა მოთხოვნილი საჯარიმო დარტყმის სასტვენის შემდეგ შესრულება და მარცხენა ფრთიდან მოულოდნელად დაარტყა შორეულ „ცხრიანში“ - 2:1. „ბარსა“ ინარჩუნებს მცირე საჩემპიონო შანსს...

თუკი პირველი ტაიმი აშკარად „ბარსასი“ იყო, მეორეში **დიეგო სიმეონეს** „ატლეტიკომ“ გამოაჩინა ბრჭყალები. ასე რომ, მასპინძლებმა **დანი ალვეშის** გოლი (რომელიც შესანიშნავი კომბინაციის ლოგიკური დასასრული იყო), **რადამელ ფალკაოს** გასროლით გაათანაბრეს. „ბარსელონას“ არ ჩაუთვალეს ორი გოლი, ორივეჯერ ხელით თამაშისთვის (არადა, მესის გოლი დიდებული სანახავი იყო და ტურის საუკეთესო გოლი გახდებოდა), პირველ შემთხვევაში მსაჯი მართალი იყო, მეორე კი უკვე საკამათოა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ხოსეპ გვარდიოლას რისკი, მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, მან გუნდი 3-4-3 სქემაზე გადაიყვანა და რისკმა გაამართლა. ისე, სადაც მესის წვლილზე ვიტყვით, ნურც **ვიქტორ ვალდესს** დავუკარგავთ, „ბარსელონას“ გოლკიპერი შესანიშნავი იყო.

სხვათა შორის, მესიმ და **ბუსკეტსმა** მორიგი ყვითელი ბარათები მიიღეს და მომდევნო მატჩს (შინ „სპორტინგთან“) გამოტოვებენ. წლეულს ლა ლიგაში მე-



კრიშტიანო რონალდოს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური გოლი გააქვს

სის შეხვედრა არ გამოუტოვია, ეს პირველი შემთხვევა იქნება.

ხოსეპ გვარდიოლა: *„მეტოქე ძალიან ძლიერი იყო. „ატლეტიკოსთან“ თამაში ჩვენთვის კარგი ტესტი იყო. როცა მეტოქემ გაათანაბრა, მაშინ გამოჩნდა ჩვენი გუნდის სიძლიერე“.*

### მესი VS რონი

კრიშტიანო რონალდომ 90 წუთი ითამაშა „რაიო ვალეკანოსთან“ 1:0 მოგებულ შეხვედრაში. მან კარისკენ 7-ჯერ დაარტყა, აქედან 3 კარში წავიდა, 1 გოლი გაიტანა, 2-ჯერ მის წინააღმდეგ იუხეშეს, ერთხელ კი რონალდო თამაშგარე მდგომარეობაში მოხვდა.

ლიონელ მესიმ 90 წუთი ითამაშა „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ, კარისკენ ერთხელ დაარტყა და გაიტანა. მესის წინააღმდეგ 4-ჯერ იუხეშეს, ის ერთხელ დაჯარიმდა და ყვითელი ბარათი მიიღო.

ორივემ კარგად ითამაშა, ჩვენ „ტურნირში“ მათ 1:1 ეკუთვნით, მესი ისევ წინაა 15:13. მომავალ ტურში არგენტინელი არ იქნება და რონალდოს ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირების შანსი აქვს.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

goal.com 4-4-2

კლაუდიო **ბრავო** (რეალ სოსიედადი, 2) - დანი **ალვეში** (ბარსელონა, 2), ემირ **სპაჰიჩი** (სევილია, 1), სერხიო **ბალესტეროსი** (ლევანტე, 4), ნაჩო **მონრეალი** (მალაგა, 1) - **ხესუს ნავასი** (სევილია, 3), **ისკო** (მალაგა, 1), მარკოს **სენა** (ვილიარეალი, 1), კარლოს **ველა** (რეალ სოსიედადი, 1) - კრიშტიანო **რონალდო** (რეალი, 10), ლიონელ **მესი** (ბარსელონა, 9).

მესი და რონალდო ერთად ტურის სიმბოლურ ნაკრებში, მესი მეცხრედ, რონალდო - მეათედ. სიმბოლურში ხუთი დებიუტანტია.

### ტურის გმირი

**რუბენ სუარესი (ლევანტე)**

თავისდა უნებურად! 33 წლის ვეტერანი ნახევარმცველი შეცვლაზე შევიდა. 89-ე წუთზე ის საჯარიმოს ასრულებდა მარცხენა ფრთიდან, ბურთი მოეჭრა და ჩაწოდების ნაცვლად კარში დარტყმა გამოუვიდა... შედეგიანი! „ლევანტემ“ 2:1 მოიგო და კარდინალურად შეცვალა სიტუაცია ლიგის მე-4 საგზურისთვის ბრძოლაში.

### ტურის ფრაზები

**კრიშტიანო რონალდო**: *„არც კი ვიცოდი, რომ გოლი გავიტანე, ამ დარტყმას არც მცველები და მეკარე ელოდნენ. კარგი გოლი იყო, მაგრამ არა საუკეთესო ჩემს კარიერაში“*, - ლა ლიგის მიმდინარე გათამაშების ბომბარდირი ქუსლით გატანილ გოლზე.

**ჟოზე მოურინიო**: *„ცხოვრებაში არ შემხვედრია ასეთი აგრესიული მე-4 მსაჯი“*, - „რეალის“ თავკაცი განმარტავდა, თუ რა შეხლა-შემოხლა ჰქონდა სარეზერვო მსაჯთან შესვენებისას.

**ჟოზე მოურინიო**: *„რაიო ვალეკანო არ დანებდა და იბრძოლა. ამ გუნდმა დაიმსახურა, რომ ვთქვათ: „რაიო“ იმაზე მეტის ღირსი იყო, ვიდრე დღეს მიიღო.*



ხოსეპ გვარდიოლამ, თავს ზემოთ ძალა არააო

*მე ძალიან მომწონს მათი მწვრთნელი სანდოვალი“*, - პორტუგალიელი აფასებს მადრიდულ დერბის.

**ჟოზე მოურინიო**: *„საოცარია, მაგრამ მადრიდში გუნდს მხოლოდ 300 ფანი გამოჰყვა მხარდასაჭერად“*, - ფანებით უკმაყოფილო მწვრთნელი.

**ხოსეპ გვარდიოლა**: *„მესი იმ ტიპის ლიდერია, რომელიც მაშინ გამოდის სცენაზე, როცა გიჭირს“*, - „ბარსელონას“ თავკაცი მესის შესახებ.

**ხოსეპ გვარდიოლა**: *„შემდეგ კვირაში მესიც დაისვენებს და პეპეც“*, - „ბარსას“ თავკაცის ხუმრობა.

**პეპე მელი**: *„ტურნირი კრივში, რომ ყოფილიყო, გამარჯვებულები დავრჩებოდით“*, - „ბეტისის“ მწვრთნელი „ხეტაფესთან“ 1:1 დასრულებული მატჩის შემდეგ.

**მანოლო ხიმენესი**: *„შერცხვენილი ვარ“*, - „სარაგოსას“ ბოსი „მალაგასთან“ 1:5 მარცხის შემდეგ.

**ხუან იგნასიო**: *„ნუ მელაპარაკებით ჩემპიონთა ლიგის საგზურზე, ეს მე ნერვებს მიშლის“*, - „ლევანტეს“ თავკაცი „ესპანიოლთან“ 2:1 მოგების შემდეგ.

### ტურის 5 საუკეთესო გოლი

1. **დავიდ ბარალი** (სპორტინგი) გოლი „რასინგის“ კარში (საჯარიმო)
2. **ლიონელ მესი** (ბარსელონა) გოლი „ატლეტიკოს“ კარში (საჯარიმო)
3. **კრიშტიანო რონალდო** (რეალი) გოლი „რაიო ვალეკანოს“ კარში
4. **ტინო კოსტა** (ვალენსია) გოლი „სევილიას“ კარში (საგოლე პასი: **ხორდი ალბა**)
5. **მარკოს სენა** (ვილიარეალი) გოლი „ბილბაოს“ კარში (საჯარიმო)

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, როგორ გაგვიჭირდა ამჯერად - ტურში ძალიან ბევრი ლამაზი გოლი გავიდა, თუმცა მაინც დავიდ ბარალის საჯარიმო დარტყმა ავარჩიეთ. ამ გოლმა მესის საოცარ საჯარიმოსა და რონალდოს ქუსლურს აჯობა. ხუთეულში ვერ მოხვდნენ დანი ალვეშის (ბარსელონა), მიკელ რიკოს (გრანადა), გარი მედელის (სევილია) და იმანოლ აგირეჩეს (რეალ სოსიედადი) შესანიშნავი გოლები.

### ესპანური ფეხბურთის სისუსტე... მსაჯები

ესპანელი მსაჯები საარაკოდ კომიკურები არიან, მათ შეუძლიათ ერთი უადგილო ჩასტვენით საკმაოდ მაღალი დონის თამაშის „გაფუჭება“. ვინც კი რეგულარულად უყურებს პრიმერას მატჩებს, დაგვეთანხმება. გთავაზობთ ამ ტურში „გამორჩეულებს“...

**ფერნანდეს ბორბალანი** (რაიო ვალეკანო-რეალი). „მარკას“ შეფასება - 0 (10-ბალიანი სისტემა).

**რა დააშავა: 1. სერხიო რამოსმა** საჯარიმოში იდაყვი ჩაარტყა მეტოქეს, მსაჯმა არც პენალტი დანიშნა და არც ყვითელი ბარათი უჩვენა რეალელს (რომელიც მისთვის მე-2 იქნებოდა). 2. პეპემ **პიტის** ფეხზე დააბიჯა, მაგრამ მსაჯმა არათუ არ გააფრთხილა პორტუგალიელი, არამედ ჯარიმაც არ დაუნიშნავს. 3. „ვალეკანოს“ ნახევარმცველი **მიჩუ** არ იყო გასაძევებელი.

**პერეს ლასა** (ატლეტიკო-ბარსელონა). მარკა - 4.

რა დააშავა: 1. ორი გოლი გაუუქმა „ბარსას“, მეორე - შეცდომით. 2. მატჩის ბოლო წუთზე 100%-იანი პენალტი არ დადო „ბარსას“ კარში, ბუსკეტსმა ხელით ითამაშა. 3. მისმა ასისტენტებმა 2-3-ჯერ არასწორად დააფიქსირეს თამაშგარე მდგომარეობა.

### ტურის სტატისტიკა

28 გოლი ტურში (2,8 მატჩში). 3 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 3 ფრედ დასრულდა და 4 სტუმრებმა მოიგეს. ტურში მსაჯებმა 67 ყვითელი და 2 წითელი ბარათი დაარიგეს.

პეთ თრიკი - არავინ

დუბლი - არავინ

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხაიმე სამპერიო** (რასინგი, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: 55 600 - „ვისენტე კალდერონი“

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 12 000 - „ელ სარდინიერო“

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 21 - ვილიარეალი

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 9 - მალაგა

ყველაზე მეტი ჯარიმა: 22 - ატლეტიკო, ვალენსია, ვილიარეალი, სარაგოსა

ყველაზე მეტი კუთხური: 13 - რაიო ვალეკანო

ყველაზე მეტი თამაშგარე: 5 - სარაგოსა

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 73% - ბარსელონა

**რასინგი-სპორტინგი 1:1**

საუკეთესო: კრისტიან სტუანი (რასინგი)

**ბეტისი-ხეტაფე 1:1**

საუკეთესო: ჯეფერსონ მონტერო (ბეტისი)

**მალაგა-სარაგოსა 5:1**

საუკეთესო: ხოსე რონდონი და ისკო (მალაგა)

**ესპანიოლი-ლევანტე 1:2**

საუკეთესო: კოუტინიო და ვეისი (ესპანიოლი)

**ვილიარეალი-ბილბაო 2:2**

საუკეთესო: ფერნანდო ლორენტე (ბილბაო)

**ვალეკანო-რეალი 0:1**

საუკეთესო: კრიშტიანო რონალდო (რეალი)

**ვალენსია-სევილია 1:2**

საუკეთესო: ხესუს ნავასი (სევილია)

**ოსასუნა-გრანადა 2:1**

საუკეთესო: იბრაჰიმა ბალდე (ოსასუნა)

**სოსიედადი-მალიორკა 1:0**

საუკეთესო: კარლოს ველა (რეალ სოსიედადი)

**ატლეტიკო-ბარსელონა 1:2**

საუკეთესო: ლიონელ მესი (ბარსელონა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 24 | 21 | 1 | 2 | 80-21 | 64 |
| 2. ბარსელონა | 24 | 16 | 6 | 2 | 70-18 | 54 |
| 3. ვალენსია | 24 | 11 | 7 | 6 | 37-29 | 40 |
| 4. ლევანტე | 24 | 10 | 5 | 9 | 34-35 | 35 |
| 5. ბილბაო | 24 | 8 | 10 | 6 | 39-32 | 34 |
| 6. მალაგა | 24 | 10 | 4 | 10 | 33-36 | 34 |
| 7. ოსასუნა | 24 | 8 | 10 | 6 | 28-38 | 34 |
| 8. ესპანიოლი | 24 | 9 | 6 | 9 | 27-29 | 33 |
| 9. ატლეტიკო | 24 | 8 | 8 | 8 | 33-30 | 32 |
| 10. სევილია | 24 | 8 | 8 | 8 | 26-27 | 32 |
| 11. ვალეკანო | 24 | 9 | 4 | 11 | 32-36 | 31 |
| 12. ბეტისი | 24 | 9 | 3 | 12 | 28-32 | 30 |
| 13. სოსიედადი | 24 | 8 | 6 | 10 | 27-34 | 30 |
| 14. ხეტაფე | 24 | 7 | 8 | 9 | 24-31 | 29 |
| 15. მალიორკა | 24 | 7 | 7 | 10 | 23-29 | 28 |
| 16. გრანადა | 24 | 8 | 4 | 12 | 22-34 | 28 |
| 17. ვილიარეალი | 24 | 6 | 9 | 9 | 25-36 | 27 |
| 18. რასინგი | 24 | 4 | 12 | 8 | 19-31 | 24 |
| 19. სპორტინგი | 24 | 5 | 6 | 13 | 22-45 | 21 |
| 20. სარაგოსა | 24 | 3 | 6 | 15 | 19-45 | 15 |

**ბომბარდირები**: 29 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 28 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 15 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 14 - გონსალო იგუაინი (რეალი); 13 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 12 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 11 - მიჩუ (რაიო ვალეკანო); 9 - რუბენ კასტრო (ბეტისი), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა); 8 - დავიდ ბარალი (სპორტინგი), არუნა კონე (ლევანტე), ალექსის სანჩესი (ბარსელონა).

**ასისტენტები**: 13 - ანხელ დი მარია (რეალი); 11 - მესუთ იოზილი (რეალი); 9 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 8 - დანი ალვეში (ბარსელონა); 7 - კარლოს ველა (რეალ სოსიედადი), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი).

**ზამორას ტროფეი**: 0,75 (გოლი მატჩში) - ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა); 0,88 - იკერ კასილიასი (რეალი); 1,14 - ტიბო კურტუა (ატლეტიკო), ხავი ვარასი (სევილია); 1,27 - მიგელ მოია (ხეტაფე).

### მომდევნო ტური

**3 მარტი**: მალიორკა-ოსასუნა, ხეტაფე-მალაგა, რაიო ვალეკანო-რასინგი, ბარსელონა-სპორტინგი, სევილია-ატლეტიკო.

**4 მარტი**: სარაგოსა-ვილიარეალი, ბილბაო-რეალ სოსიედადი, გრანადა-ვალენსია, რეალი-ესპანიოლი.

**5 მარტი**: ლევანტე-ბეტისი.

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინგლისი. ლიგის თასი. გამოხმაურება

# ეიფორია წითლების ბანაკში



როგორც იქნა 6-წლიანი მოლოდინი დასრულდა. "ლივერპულმა" ნავსი გატეხა და ინგლისის ლიგის თასს მერვედ დაეუფლა. თუმცა "წითლების" ბანაკში ყველას ესმის, რომ ეს არ არის პიკი და მიმდინარე სეზონში გუნდს კიდევ უფრო მეტის მიღწევა შეუძლია. მერსისაიდელებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი, რათა ჩემპიონთა ლიგის საგზურს ხელი შეავლონ და გარდა ამისა, ასოციაციის თასისთვისაც იბრძოლონ. გთავაზობთ ლივერპულელთა მატჩის შემდგომ კომენტარებს.

**კენი დალგლიში** (მთავარი მწვრთნელი)

- ლიგის თასის მოსაგებად ჩვენ გრძელი და რთული გზა გავიარეთ. ფინალში "კარდიფმა" სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. ჩვენ გვყავდა მოწინააღმდეგე, რომელიც არასდროს ნებდება. სწორედ ამიტომ მივიდა საქმე პენალტების სერიამდე. პენალტები საუკეთესო გზა ნამდვილად არ არის ტიტულის მოსაგებად, მაგრამ ახლა მთავარი ის არის, რომ თასი ჩვენია. წარმატების მიუხედავად ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. ნამდვილად არ გვინდა მიღწეულით დაკმაყოფილება. "ლივერპული" ძალიან ბევრისთვის ნიშნავს საფეხბურთო კლუბზე მეტს და სწორედ ამ ადამიანებისთვის ვართ ვალდებულნი მაქსიმალურად ვიმუშაოთ. დღეს ჩვენ ეს მოვახერხეთ. იმედი მაქვს, რომ ამით გამოვისყიდეთ ის დანაშაულები, როცა ეს არ გამოგვდიოდა.

**ტომ ვერნერი** (თანამესაკუთრე)

- მთავარია, რომ ტიტული მოვიგეთ და ეს კლუბისა და გულშემატკივრებისთვის გავაკეთეთ. დღეს ამით ძალიან ამაყი ვარ. იმედი მაქვს, ლიგის თასი მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქნება. მოუთმენლად ველით მომავალ წარმატებებსაც. გულშემატკივრები საოცარი სანახაობის მომსწრენი გახდნენ. ვფიქრობ, დღესაც და მთელი ტურნირის განმავლობაშიც საუკეთესოები ვიყავით. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ჩვენი ფანები საყვარელი გუნდის ტრიუმფის მოწმენი გახდნენ მთელ მსოფლიოში. რა თქმა უნდა, ეს დიდი მიღწევაა. არასოდეს დამავიწყდება ის სიხარული, რომლის მოწმეც ფეხბურთელებთან ერთად გასახდელში გავხდი. ეს ის შეგრძნებაა, რომლის გაზიარება მინდა ყველა იმ ადამიანისთვის, ვისთვისაც "ლივერპული" სულ ერთი არ არის.



ენფილდელთაგან ჯერჯერობით ყველა კარგ ხასიათზეა

**ჯონ ჰენრი** (თანამესაკუთრე)

- ბედნიერი ვარ, რომ ტომისგან განსხვავებით, რომელიც დაძაბულობის გამო ლამის სავარძლის ქვეშ შეძვრა, ყოველივეს, რაც პენალტების სერიაში ხდებოდა, თვალს ვადევნებდი. ეს პირველი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია დიდი კლუბისთვის მომდევნო წარმატებების გზაზე. ჩვენ წლების განმავლობაში არ ვიცოდით ტიტულის გემო და ამიტომაც ვიყავი დარწმუნებული, რომ ზუსტად დიდი თამაშების მოგების დრო იყო. იმისთვის, რომ "უემბლიზე" მოვხვედრილიყავით, "ჩელსის" "სტემფორდ ბრიჯზე" მოვუგეთ. შემდეგ ნახევარფინალში "მანჩესტერ სიტი" გამოვაგდეთ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს დიდი მიღწევაა. რომც წაგვეგო, იმედგაცრუება არ დამეუფლებოდა, რადგან საამისოდ მეტისმეტად ვამაყობ "ლივერპულით". მთავარია, რომ მოვიგეთ და როგორ ჩავატარეთ მატჩი, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. გამარჯვება ყველაზე მნიშვნელოვანია. კლუბი ბოლო პერიოდში დიდი ზეწოლის ქვეშ იყო, მაგრამ კენი დიდებულად გაუმკლავდა მას".

**სტივენ ჯერარდი** (კაპიტანი)

- პენალტების სერია უმკაცრესი გამოცდაა. რაც შეეხება ენტონის მიერ გაფუჭებულ დარტყმას (მოგეხსენებათ, "კარდიფის" მხრიდან ბოლო დარტყმა სტივის ბიძაშვილმა ენტონი ჯერარდმა ააცილა. რედ), ვიტყვი, რომ ეს ფეხბურთია და აქ ყოველთვის არის მოგებული და წაგებული მხარე, მიუხედავად იმისა, იმსახურებდა თუ არა ერთი გამარჯვებას და მეორე - მარცხს. ამ წუთას გაორებული შეგრძნება მაქვს. მესმის "კარდიფის" ფეხბურთელებისა და ენტონის განცდები. არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რას ვეტყვი მე მას. ეს ვერ დაეხმარება მას დაკარგული თასის დაბრუნებაში, თუმცა აუცილებლად მხარში დავუდგები, რადგან ის ჩემი ოჯახის წევრია. "ლივერპულზე" კი იმას ვიტყვი, რომ უმნიშვნელოვანესია, დიდი გამარჯვებების გემო კარგად შევიგრძნოთ და საკუთარი პოტენციალის გამოყენებას შევუდგეთ. ჩვენი მხრიდან სისულელე იქნებოდა, მხოლოდ ამ ტიტულის მოგებით ტკბობა. ჩვენ მეტი გვინდა.

უელსური და ინგლისური კლუბების დაპირისპირებისას მოედანზე მხოლოდ ერთი ვალიელი ფეხბურთელი **კრეიგ ბელამი** იდგა. კიდევ ერთი უელსელი **რობერტ ერნშოუ** ბოლომდე "კარდიფის" სკამზე დარჩა.

**კრეიგ ბელამი** (თავდამსხმელი)

- წარმოუდგენლად რთული მატჩი გამოვიდა. არადა, თამაში კარგად დავიწყეთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ გოლი დროის საკითხი იყო. მერე არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ "კარდიფმა" აქეთ გაგვიტანა, რისთვისაც ის მხოლოდ ქებას იმსახურებს. ტიტულის მიუხედავად, ჩვენთვის ჯერ კიდევ არაფერი დამთავრებულა. "ლივერპულის" ფეხბურთელი ყოველთვის ბოლომდე უნდა დაიხარჯოს და მუდამ პროგრესზე ფიქრობდეს. სწორედ ამით ვიქნებით დაკავებულნი უახლოეს პერიოდში. ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვოთ. ვიმსახურებთ თუ არა ამას, ეს გამარჯვებებით უნდა დავამტკიცოთ. წარმომიდგენია, რა ხდება ახლა ჩვენი მეტოქე ფეხბურთელების გულებში. მათ უნდა იამაყონ იმით, რასაც მიაღწიეს და თავანწეულებმა იარონ. ეს მხოლოდ "კარდიფ სიტის" კი არა, მთელი უელსისთვის უდიდესი მიღწევაა. ისიც მესმის, რომ მათ მაინცდამაინც არ უხარიათ "სუონსის" პრემიერლიგური წარმატებები, მაგრამ გუშინდელს მერე მათაც აქვთ საამაყო.

რაიან გიგზი. იუბილე

# არარიგითი რაიანი

გასულ უქმეებზე "ლივერპულის" მიერ ლიგის თასის მოგების გარდა ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაც მოხდა – **რაიან გიგზმა** "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში მე-900 მატჩი ჩაატარა და "ნორვიჩთან" საიუბილეო შეხვედრაში ბოლო წამებზე 163-ე მანჩესტერული გოლით გუნდს გამარჯვება მოაპოვებინა. აი, რა თქვა მატჩის შემდეგ ფეხბურთელმა: *"900 თამაში "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ის შედეგია, რომლითაც ნამდვილად შეიძლება ვიამაყო. მით უფრო, რომ ბავშვობიდან ამ გუნდის გულშემატკივარი ვიყავი. კარიერას როცა ვიწყებდი, მოკრძალებული მიზნები მქონდა, მოვხვედრილიყავი ძირითად შემადგენლობაში. პირველი ტიტულის მოგების შემდეგ მეორის მოგება მომინდა, მერე მესამის და ასე შემდეგ. ვფიქრობ, რომ შეუძლებელია, ვინმემ ამდენი თამაშის ჩატარება დაისახოს მიზნად. ახლა ფეხბურთისგან უფრო მეტ სიამოვნებას ვიღებ, ვიდრე ადრე. კლუბში კი სურთ, რომ ისევე განვაგრძო, როგორც ამას აქამდე ვაკეთებდი. ვგრძნობ, თამაში ჯერ არ მომბეზრებია. ამიტომაც*



*უკვე მომდევნო სეზონზე ვფიქრობ, იქამდე კი იმედი მაქვს, რომ წელსაც მოვახერხებ რამის მოგებას".*

გიგზის შესახებ კომენტარი გააკეთა სერ **ალექს ფერგიუსონმაც**: *"რაგინდარა კლუბში 900 თამაშის ჩატარება ნებისმიერი ფეხბურთელისთვის განსაკუთრებული მიღწევა იქნებოდა. ვფიქრობ, აღნიშნული რეკორდის არათუ გაუმჯობესება, გამეორებაც კი ნებისმიერს გაუჭირდება. დღევანდელ შეხვედრაში სწორედ გიგზმა დაიმსახურა ყველაზე მეტად გამარჯვების გოლის ავტორობა".*

მეგობარზე ვრცლად ისაუბრა "იუნაიტედის" მეორე ლეგენდარულმა ფეხბურთელმა **პოლ სქოულზმაც**: *"რაიანი ფანტასტიკური ფეხბურთელია. მისი მიღწევა თავისთავად ყველაფრის მეტყველია. მიუხედავად ასაკისა, ის მთელი თამაშის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ძალიან ძლიერია. საბედნიეროდ, მან მოახერხა ბოლო წუთზე გამარჯვების გოლის გატანა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მატჩის სცენარი წინასწარ მისთვის დაიწერა".*

ამბები

## ახალი კონტრაქტი ლინდეგორს

"სანის" ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედი" მეკარე **ანდერს ლინდეგორს** ახალ კონტრაქტს სთავაზობს. 27 წლის დანიელი "ეშმაკების" რიგებში ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადი ფეხბურთელია. კლუბი მას კვირაში 25 ათას ფუნტს უხდის. ინგლისის ჩემპიონები მზად არიან მას ანაზღაურება 15 ათასით გაუზარდონ. შეგახსენებთ, რომ ლინდეგორში "იუნაიტედმა" 2010 წელს "ოსასუნადან" 3,5 მილიონ ფუნტად გადაიხადა.

## კოული შეიძლება წავიდეს

"ჩელსის" მარცხენა მცველი **ეშლი კოული** შეიძლება სეზონის დასრულების შემდეგ "სტემფორდ ბრიჯიდან" წავიდეს. "გარდიანის" ცნობით, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელსა და **ანდრე ვილაშ ბოაშს** შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა და ის, რომ ეშლი მოედანზე მაინც ჩნდება, **რომან აბრამოვიჩის** დამსახურებაა. სიტუაციაში, როცა რუსი ოლიგარქი პორტუგალიელ მწვრთნელზე უარის თქმას არ აპირებს, 31 წლის ფეხბურთელს წასვლის გარდა სხვა გამოსავალი უბრალოდ აღარ რჩება. სად შეიძლება განაგრძოს კოულმა კარიერა, ბუნებრივია, უცნობია, მაგრამ უგუნდოდ რომ არ დარჩება, ალბათ ეჭვი არავის ეპარება.

## არშავინი მშობლიურ კლუბში

როგორც რუსულმა პრესამ კვირა საღამოს დაწერა, "ზენიტმა" "არსენალთან" შეთანხმებას მიაღწია **ანდრე არშავინთან** დაკავშირებით. 30 წლის რუსი თავდამსხმელი მშობლიურ კლუბში მინიმუმ მაისის ბოლომდე დარჩება და რაც მთავარია, კლუბი მას ერთ თამაშში 100 ათას ევროს გადაუხდის. რაკი ფეხბურთელს ჩემპიონთა ლიგაში "მეთოფეთა" რიგებში უკვე ნათამაშები აქვს, მას მხოლოდ რუსეთის ჩემპიონატში ასპარეზობის უფლება მიეცემა. რუსული პრემიერლიგის დასრულებამდე კი 12 ტური დარჩა. შესაბამისად, არშავინი 3 თვეში 1,2 მილიონ ევროს მიიღებს. *"ზენიტთან" ხელშეკრულებას ხელი უკვე მოვაწერე და ისიც გავარკვიე, რომ 29-ე ნომრით ასპარეზობა მომიწევს. გეტყვით, რომ მხარეთა შორის შეთანხმება იოლად გაფორმდა,"* – აცხადებს არშავინი.

აქვე გეტყვით, რომ თუკი "ზენიტი" ფეხბურთელთან სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმებას მოისურვებს, 15 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

## მამადუ დიარა ფულჰემში

"ლიონისა" და "რეალისა" ყოფილმა საყრდენმა ნახევარმცველმა **მამადუ დიარამ** შარშან აგვისტოში "მონაკოსთან" კონტრაქტი გაწყვიტა და მას შემდეგ უთამაშებელი იყო. თავისუფალი აგენტის სტატუსი მასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და განაცხადში შეყვანის უფლებას ნებისმიერ დროს იძლევა. სწორედ ასე მოიქცა "ფულჰემი", ვინც 30 წლის ფეხბურთელს თანამშრომლობა სეზონის ბოლომდე შესთავაზა. თუკი მხარეები მოისურვებენ, ხელშეკრულება უკვე შეთანხმებული პირობებით კიდევ ერთი წლით გაგრძელდება. ბრიტანეთის საემიგრაციო სამსახური დიარას სამუშაო ვიზას უახლოეს დღეებში მისცემს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## ქართული სპორტი

ძიუდო. საქართველოს პირველობა ჭაბუკებში

# ჭაბუკები დიდი გზის დასაწყისში



შაბათ-კვირას დილომში, ძიუდოს აკადემიამ საქართველოს პირად პირველობას უმასპინძლა ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის. ეს ნაკრებიც თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესის წინაშე დგას, რადგან შარშანდელი ლიდერების უმეტესობა გუნდიდან წავიდა. თავად განსაჯეთ - ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული **ბექა ღვინიაშვილი** (81), ამავე ასაკში მსოფლიოს ჩემპიონი **გურამ თუშიშვილი** (90), ევროპის ჩემპიონი ვანო მამისაშვილი (55), ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **შალვა ჩოჩელი** (90), მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **ბექა დონღვანი** (73), ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი **ლევან გუგავა** (73), ფესტივალის მესამე პრიზიორი **გიორგი მუზიაშვილი** (66) - ეს მთელი ნაკრებია, ხოლო ამ ტიტულებს ბევრი ფედერაცია მთელ სეზონში ვერ ინატრებს. შარშანდელი გუნდიდან მხოლოდ ევროპის ვიცე-ჩემპიონები - **თამაზ კირაკოზაშვილი** (60) და **გიორგი ლაზუაშვილი** (+90) დარჩნენ, ოღონდ კირაკოზაშვილმა წლეულს წონა შეიცვალა, თუმცა 66-შიც უჭირს წონის დაკლება. მას არც ქვეყნის პირველობაზე უჭიდავია, თუმცა ამის მიზეზი ტრავმა გახლდათ. რჩება აგრეთვე **ვანო ჩურჩხელაშვილიც** (73), რომელიც შარშან ობიექტური მიზეზით ვერ მოხვდა ნაკრებში, ამჯერად კი ქვეყნის პირველობა მოიგო. მან თუ უცხოეთშიც წარმატებით იჭიდავა, ნაკრებში მოხვედრაში ხელს ვერაფერი შეუშლის, მწვრთნელებს კი მისი გამორჩეულად ეიმედებათ. დაახლოებით იგივე ითქმის **გიორგი კაციაშვილზეც** (55). შალცვა ჩოჩელის წასვლის მიუხედავად, შესაძლოა, გუნდი მაინც არ დარჩეს ჩოჩელთა ოჯახური წარმომადგენლის გარეშე და შალვა უმცროსმა ძმამ - **რამზეს ჩოჩელმა** (73) შეცვალოს, რომელიც ახლა მესამეზე გავიდა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ სპორტსმენებთან ერთად შეიცვალა ხელმძღვანელობაც - მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ვაზაგაშვილმა** ეროვნულ ნაკრებში გადაინაცვლა, ჭაბუკებს კი მის ნაცვლად **გია თენაძე** ჩაუდგა სათავეში.

ქვეყნის ჩემპიონატს წინ ახალშემოღებული ორი სარეიტინგო ტურნირი უძღოდა. სწორედ მათი შედეგების მიხედვით მოეწყო განთესვა, რამაც ობიექტური სურათის მიღებას შეუწყო ხელი - ადრეულ ეტაპზე ძლიერების შეხვედრა გამორიცხა.

ამდენად, თაობათა ცვლის გამო ეს ჩემპიონატი მოზარდებისთვის დიდი გზის დასაწყისი გამოდგა - ბევრ მათგანს პირველად მიეცა ნაკრებში მოხვედრის შანსი, ზოგსაც შანსი გაეზარდა ლიდერთა წასვლის გამო. ამან განაპირობა მოჭარბებული ინტერესიც - შეჯიბრებაში 300-მდე მოზარდი გამოვიდა. ყველაზე მეტი ოქროს მედალი კახეთმა მოიპოვა - 4, თბილისს 2 ერგო, აჭარას და შიდა ქართლს კი თითო. კახეთიდან ჩემპიონები **ირაკლი კუპატაძე** (50), **კობა მჭედლიშვილი** (60), **ვანო ჩურჩხელაშვილი** (73) და **დავით რამაზაშვილი** (90) გახდნენ, თბილისიდან - **გიორგი ქურდიანი** (81) და **გიორგი ძებისაშვილი** (+90). აჭარას ოქრო **ბაჩანა ბოლქვაძემ** (66) მოუტანა, შიდა ქართლს კი - **გიორგი კაციაშვილმა** (55). ეს მედალოსნები 17-18 მარტს ანთალიაში გამოვლენ ევროპის ჭაბუკთა თასზე, თუმცა, სავარაუდოდ, იქ საკუთარი ხარჯით დამატებით კიდევ რამდენიმე ძიუდოისტიც იჭიდავებს - ისინი, ვინც ამჯერად უმედლოდ დარჩა, მაგრამ ნაკრებში მოხვედრის ამბიციას კვლავ ინარჩუნებს. მწვრთნელები მათ სურვილს გაგებით ეკიდებიან და შანსს აძლევენ. ანთალიაში რამდენიმე გოგოც წავა, იქიდან დაბრუნებული გუნდი კი მზადების საშეკრებო ეტაპზე გადავა. 22-24 ივნისს ჩერნოგორიულ ბარში გასამართავ ევროპის ჩემპიონატამდე ნაკრები გერმანიაშიც იასპარეზებს დასკვნით შეჯიბრებაში. სწორედ იქ გადაწყდება საბოლოოდ, მწვრთნელები ვის წაიყვანენ ჩერნოგორიაში.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი**

**50 კგ.** 1. ირაკლი კუპატაძე (კახეთი), 2. ზურაბ ონიანი (თბილისი), 3. გიორგი სადალაშვილი, არჩილ ქარელიშვილი (ორივე - შიდა ქართლი).
**55 კგ.** 1. გიორგი კაციაშვილი (შიდა ქართლი), 2. ბექა ნათათრალაშვილი (კახეთი), 3. ერეკლე არხოზაშვილი, ზურაბ ჭონიაშვილი (ორივე - შიდა ქართლი).
**60 კგ.** 1. კობა მჭედლიშვილი (კახეთი), 2. ბექა სეხნიაშვილი (შიდა ქართლი), 3. დიმიტრი ცაბაძე (სამცხე-ჯავახეთი), ბექა უდესიანი (თბილისი).
**66 კგ.** 1. ბაჩანა ბოლქვაძე (აჭარა), 2. ზაზა მეგრელიშვილი, 3. ჯემალ ბუჩუნტელი (ორივე - თბილისი), გიგა გიგაური (ქვემო ქართლი).
**73 კგ.** 1. ვანო ჩურჩხელაშვილი (კახეთი), 2. იესო კვირიკაშვილი (შიდა ქართლი), 3. რამზეს ჩოჩელი (თბილისი), ზურაბ ლომიძე (იმერეთი).
**81 კგ.** 1. გიორგი ქურდიანი, 2. სულიკო სეთურიძე (ორივე - თბილისი), 3. ნიკა მოველიძე (კახეთი), ბექა შერაზადიშვილი (შიდა ქართლი).
**90 კგ.** 1. დავით რამაზაშვილი, 2. მიხეილ ახალაური, 3. ჯაბა მუმლაძე (სამივე - კახეთი), გიორგი გველესიანი (თბილისი).
**+90 კგ.** 1. გიორგი ძებისაშვილი, 2. ზაზა გოჯიაშვილი (ორივე - თბილისი), 3. ბაქარ კუხიანიძე, ბექა ძოწენიძე (ორივე - იმერეთი).

მძლეოსნობა



# სპორტის დედოფლის მსუყე სეზონი

ორიოდე კვირის წინათ მოგილიოვში მძლეოსანთა ბელარუსის ზამთრის ღია ჩემპიონატში რამდენიმე ქართველმა სპორტსმენმა საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა, **ნიკა კარტავცევი** (400მ) და **მაიკო გოგოლაძე** (სიგრძეზე ხტომა) სულაც საპრიზო ადგილებზე გავიდნენ. წარმატების უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ექვსმა ჩვენებურმა ამ შეჯიბრებამდე ბელარუსშივე მასპინძლებთან ერთობლივი საწვრთნელი შეკრება გაიარა. და აი, გასულ შაბათ-კვირას მათ საქართველოს ზამთრის ჩემპონატშიც იყოჩაღეს: **ზურაბ გოგოჭურმა** სიმაღლეზე ხტომაში 213 სანტიმეტრით დაიკავა პირველი ადგილი, **ბოლესლავ სხირტლაძემ** სიგრძეზე ხტომაში 7,72, ხოლო მაიკო გოგოლაძემ 6,12 მეტრი დაძლია. სამივე სპორტსმენმა მოგილიოვში ნაჩვენები შედეგები გააუმჯობესა, ნიკა კარტავცევმა კი 200 და 400 მეტრზე რბენაში მოიპოვა ჩემპიონობა.

**ალექსი ახვლედიანი** (საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი): - „სპორტის დედოფალს" საქართველოში ასეთი დატვირთული და ნაყოფიერი სეზონის დასაწყისი კარგა ხანია, არ ჰქონია. ნაკრების წევრებმა, რომლებიც ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირებისთვის ემზადებიან, უკვე ორი საწვრთნელი შეკრება გაიარეს და მაჩვენებლებიც ბევრად უკეთესი აქვთ. განსაკუთრებით ზურაბ გოგოჭური მინდა გამოვყო. წელიწადზე მეტია, იგი 205 სანტიმეტრს ვერ ასცდა, არადა, მისი სპორტული მონაცემებით უცხოელი სპეციალისტებიც კი არიან მოხიბლული. დიდუბის მანეჟში იგი 216 სანტიმეტრზე გადებულ თამასასაც გადაევლო, მაგრამ ტექნიკური ხარვეზის გამო ცდა არ ჩაეთვალა. გოგოჭურმა თუ ასე წინსვლა განაგრძო, მაის-ივნისის სალიცენზიო ტურნირებზე, მას საოლიმპიადე ნორმატივის (228 სმ) დაძლევა არ უნდა გაუჭირდეს. ზურაბი შეჯიბრების დამთავრებისთანავე სალომე რიგიშვილთან ერთად მოგილიოვში გაემგზავრა და იქიური მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით მოემზადება.

ბელარუსში გავლილი შეკრება ნაყოფიერად გამოიყენეს ბოლესლავ სხირტლაძემ და მაიკო გოგოლაძემ, რომლებმაც, გოგოჭურის მსგავსად, საქართველოს ზამთრის პირველობა პირადი რეკორდებით მოიგეს. 9-11 მარტს სტამბოლი მძლეოსანთა ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჩვენგან იქ ოზურგეთელი ნიკა კარტავცევი და ახალციხელი გაიანე უსტიანი გამოვლენ.

საქართველოს სპორტის სამინისტროს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანადგომით წლევანდელი სეზონი საინტერესო და ღონისძიებებით დახუნძლული იქნება არა მარტო უფროსებისთვის, არამედ 1998-2000 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭებისთვის, რომლებსაც 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე მოუწევთ გამოსვლა. მათთვის უკვე ჩავატარეთ თითო შეკრება და შეჯიბრება. მომავალ შაბათ-კვირას მათგან რვა საუკეთესო ლიკა დვალიშვილის ხელმძღვანელობით მოგილიოვში გაემგზავრება და ბელარუს, უკრაინელ, რუს და ბალტიისპირელ თანატოლებთან ერთად პირველ საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავენ ძალებს.

სტამბოლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აპრილის ბოლომდე ჩვენი სპორტსმენები ზაფხულის სეზონისთვის მოემზადებიან და ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ ლონდონის ოლიმპიადამ ქართველი მძლეოსნების გარეშე არ ჩაიაროს.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**კვარცხლბეკი**

ქალები. **60 მ.** 1. [illegible] სირაძე (ქუთაისი, 8,08), 2. სოფო ჩალაშვილი (თბილისი, 8,24), 3. [illegible] (ზუგდიდი-თბილისი, 8,25). **60მ/თარჯებით.** 1. [illegible] გოგოლაძე (თბილისი, 9,21), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 10,06), 3. თამარ ჯალაღანია (ფოთი, 10,62). **200 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 26,68), 2. მარიამ ბედუკაძე (28,27), 3. ალექსანდრა მშვიდობაძე (ორივე - თბილისი, 28,57). **400 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 1.01,32), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 1.03,84), 3. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 1.04,78). **800 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 2.20,0), 2. მარიამ ჭეიძე (თბილისი, 2.42,0), 3. გაიანე გაბრიელიანი (ახალციხე, 2.45,0). **1500 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 5.08,05), 2. დიანა ჯინისიანი (5.24,46), 3. ნინა პაპიკიანი (ორივე - ახალციხე, 5.37,11). **3000 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 10.36,56), 2. თამარ შამოევა (თბილისი, 12.08,65). **სიგრძეზე ხტომა.** 1. მაიკო გოგოლაძე (თბილისი, 6,12), 2. თათია პაიკიძე (ვანი, 5,54), 3. ნანი სირაძე (ქუთაისი, 5,22). **ბირთვის კვრა.** 1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი, 13,80), 2. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 9,70), 3. ალბინა არუთუნიანი (აჭარა, 8,70). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. თამარ გელეიშვილი (ქუთაისი, 1,45). **სამხტომი.** 1. თათია პაიკიძე (ვანი, 12,24), 2. თამარ გელეიშვილი (12,02), 3. ანი სირაძე (ორივე - ქუთაისი, 10,87). **ურო.** 1. სოფო მათიაშვილი (თბილისი, 39,60). **ბადრო.** 1. ნინო წიქვაძე (თბილისი, 28,92), 2. ნათელა უშიკიშვილი (თიანეთი, 25,10), 3. მარიამ სიდამონიძე (თბილისი 24,55).

**კაცები. 60 მ.** 1. ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი-ჩხოროწყუ, 7,12), 2. დავით ილარიანი (თბილისი, 7,19), 3. ირაკლი აშორდია (ზუგდიდი, 7,20). **60 მ/თარჯებით.** 1. დავით ილარიანი (თბილისი, 8,03), 2. თემურ ცირამუა (ზუგდიდი, 8,77), 3. ლაშა ნუცუბიძე (ქუთაისი, 9,43). **200 მ.** 1. ნიკა კარტავცევი (ოზურგეთი, 22,24), 2. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 22,48), 3. ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი-ჩხოროწყუ, 22,53). **400 მ.** 1. ნიკა კარტავცევი (თბილისი, 49,72), 2. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 50,17), 3. დენის ყვანია (თბილისი, 50,98). **800 მ.** 1. ანდრანიკ მატინიანი (1.57,79), 2. გიგლა ზილბერშტეინი (1.58,53), 3. გიორგი ზილბერშტეინი (სამივე - ახალციხე, 2.03,80). **1500 მ.** 1. ანდრანიკ მატინიანი (4.06,84), 2. გიგლა ზილბერშტეინი (ორივე - ახალციხე, 4.07,50), 3. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 4.08,59). **3000 მ.** 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 9.02,17), 2. დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 9.04,32), 3. ოლეგ ოლეინიკოვი (ლაგოდეხი, 9.08,71). **5000 მ.** 1. თემურ ბაიკეევი (თბილისი, 15.59,80), 2. ოლეგ ოლეინიკოვი (ლაგოდეხი, 16.02,93), 3. დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 16.29,00). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ბოლესლავ სხირტლაძე (თბილისი, 7,72), 2. ლაშა ღულელაური (ახმეტა, 7,48), 3. გიორგი გურეშიძე (მარტვილი, 6.90). **ბირთვის კვრა.** 1. დავით შონია (ფოთი, 12,20), 2. გოგა ჭიხვარია (ოზურგეთი, 12,05), 3. ზაზა გიგაია (მარტვილი, 11,36). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ზურაბ გოგოჭური (თბილისი, 2,13), 2. ირაკლი ხაჭაპურიძე (1,75), 3. ლაშა ნუცუბიძე (ორივე - ქუთაისი, 1,75). **სამხტომი.** 1. ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი, 14,53), 2. გოგა მალლაკელიძე (13,44), 3. ბექა ჯიშკარიანი (ორივე - ქუთაისი, 13,25). **უროს ტყორცნა.** 1. გურამ სამხარაძე (40,70), 2. გიორგი ონიანი (ორივე - თბილისი, 40,70), 3. მიხეილ კალაძე (რუსთავი, 32,73). **ბადრო.** 1. დავით შონია (ფოთი, 33,0), 2. ბესიკ ნიკლაური (თიანეთი, 30,46), 3. გიორგი კორტავა (ხობი, 22,60).

**საერთო გუნდური. I ჯგუფი.** 1. თბილისი (382), 2. ქუთაისი (359), 3. ახალციხე (322). **II ჯგუფი.** 1. ოზურგეთი (108), 2. აჭარა (84), 3. მარტვილი (60).

ქართული ჭიდაობა

# ყველიერის სპორტული დღესასწაული

საუკუნეების წინათ, საქართველოში ყველიერის დღესასწაული ქართული ხალხური სპორტის გარეშე არასდროს ჩაივლიდა... ტრადიციას ყველაზე კარგად საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარა ჩაილურში დღესაც ინარჩუნებენ. პატარა ჰქვია, თორემ ეს სოფელი სულაც არ არის პატარა...

ნიახურას ციხიდან სოფლის ცენტრისკენ დავიძარით თუ არა, დიდი და პატარა ადგილებს ქედზე იკავებდნენ, რომლის ძირში ნახერხმოყრილი ქართული საჭიდაო მოედანი ფალავნებს ელოდა...

შეჯიბრების აქაურ ორგანიზატორს **ლოლო ალვინიშვილს** ის-ის იყო დაესრულებინა მოჭიდავეთა აწონა, ვიღაცამ „საჭიდაოს" დამკვრელების მოსვლაც გვამცნო და განის გამშლელებმა გრძელი ჯოხი მოიმარჯვეს... ცოცხალი წრე სასეირო ორთაბრძოლების საცქერლად მოემზადა.

პატარა ჩაილურის დიდ მოედანზე და სოფლის შარაგზებზე ბერიკების სცენებიც ვიხილეთ, რამაც კიდევ უფრო გაალამაზა ეს დღესასწაული.



ღონისძიებას მეზობელი სოფლების გარდა თბილისელი და რუსთაველი სტუმრებიც ბლომად ესწრებოდნენ.

ძირითადი ორთაბრძოლების დაწყებამდე ტრადიციისამებრ ნახერხის მოედანზე ყმაწვილებმა იჯერეს გული ჭიდაობით.

პირველი ადგილები და ფასიანი პრიზები მოიპოვეს: **კობა მჭედლიშვილმა** (60 კგ; კაკაბეთი). **ალექსი ქოზაშვილმა** (70; გორი) და **ვანო როსტიშვილმა** (80; მანავი).

ყველაზე დიდი ინტერესით, რაღა თქმა უნდა, ელოდნენ ორთაბრძოლებს აბსოლუტურ პირველობაზე. გამარჯვებულს კი ცოცხალი პრიზი ელოდა — ღობის ძირში გამობმული რქებდაგრეხილი ვერძი. გამარჯვება დამსახურებულად მოიპოვა **ბექა ბერძენიშვილმა** (პატარა ჩაილური). სხვათა შორის, ბექა ამას წინათ საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭიდაობა სამბოში (100 კგ).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო



მშვილდოსნობა

# ჩუბინთა ზამთარი

ამ უქმეებზე დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე 26 მსროლელის მონაწილეობით მშვილდოსანთა ზამთრის ჩემპიონატი გაიმართა. სამწუხაროდ, ობიექტური მიზეზით ბათუმელთა ნაწილმა ვერ მოახერხა ჩამოსვლა და მათგან ორმა სპორტსმენმა იასპარეზა. აჭარის გარდა, რეგიონებიდან ქუთაისისა და ასპინძის თითო-ოროლა მშვილდოსანიც გამოდიოდა, დანარჩენები კი თბილისს წარმოადგენდნენ. მოისართა უმრავლესობა ახალგაზრდებში გამოდიოდა, თორემ უფროსებში ქალებშიც და კაცებშიც მხოლოდ სამ-სამი სპორტსმენი ისროდა. შესაბამისად, გამარჯვებულებიც იოლად გამოვლინდნენ. ცხადია, ქალებში მსოფლიოს თბილისელმა ვიცე-ჩემპიონმა **ქრისტინე ესებუამ** იპირველა, მეორეზე ასევე ნაკრების წევრი **ასმათ დიასამიძე** გავიდა აჭარიდან, მესამე კი ასევე ზღვისპირელი **ნათია ცინცაძე** იყო. ვაჟებში სამივე მსროლელი თბილისელია და მათ მედლები ასე გაინაწილეს - **დავით ჭელიძემ** ოქრო დაისაკუთრა, **გიორგი პოპიაშვილმა** - ვერცხლი, **ბექა მუმლაძემ** - ბრინჯაო. ამათგან ჭელიძეს ახალგაზრდული ნაკრებიდან ვიცნობთ, მუმლაძე და მით უფრო პოპიაშვილი კი შედარებით ახალი სახეებია.

ახალგაზრდებს უფრო დაეტყოთ კორეელი მწვრთნელის შეკრებები და ხელი. განსაკუთრებით - ბიჭებს, რომლებმაც შედეგებსაც მოუმატეს და მწვრთნელი მათზე უკვე გარკვეულ გათვლებსაც აკეთებს. მათი უფროსთა ევროპის ჩემპიონატზე გაგზავნაც იგეგმება იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე წლით უფროსებთან მოუწევთ პაექრობა. ამჯერად დუშეთში **ირაკლი ქვლივიძემ** გაიმარჯვა, მეორეზე **გიორგი ნიბლიაშვილი** გავიდა, მესამეზე - **ლაშა ფხაკაძე**. ამათგან ქვლივიძე და ფხაკაძე ახალგაზრდული ნაკრების წევრებად მოიაზრებიან. ამდენად, ნიბლიაშვილის წარმატება აღსანიშნავია.

ამავე ასაკის გოგოებში **ნინი მეკოშკიშვილმა** გაიმარჯვა, **თეონა კუტალაძემ** ვერცხლი მოიპოვა, **ქეთევან მაკარაშვილმა** - ბრინჯაო. სპეციალისტებისთვის უცხო არც მეკოშკიშვილია, თუმცა ამ ასაკის გოგოების უდავო ლიდერად კუტალაძეა მიჩნეული, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამჯერად ჩემპიონობა სხვას დაუთმო. აქვე გეტყვით, რომ ახალგაზრდებში გოგოებშიც და ბიჭებშიც ყველა მედალოსანი თბილისელია.

4 მარტს ჩვენი მშვილდოსნები მადრიდში გაფრინდებიან, სადაც ოლიმპიურ ბაზაზე ერთთვიან შეკრებას გაივლიან. იქ სულ 10 კაცი გაემგზავრება, ამათგან 8 - სპორტსმენი. კორეელ მწვრთნელ **ან ჰიუნ სანს** ესპანეთში ქალებთან ერთად ბიჭების ნაკრებიც მიჰყავს: ესებუა, დიასამიძე, ცინცაძე, **ხათუნა ნარიმანიძე**, **ლანა ვერულიძე**, ქვლივიძე, ფხაკაძე და **თორნიკე რიჟამაძე**. ჩვენები მადრიდში ზუსტად ერთი თვე ივარჯიშებენ, მერე კი შანხაიში გაემგზავრებიან და 10-15 აპრილს მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე გამოვლენ. სავარაუდოდ, ანალოგიური რანგის ტურნირზე ისინი 1-6 მაისსაც ისვრიან, ოღონდ უკვე ანთალიაში, სადაც ამ შეჯიბრების მეორე ეტაპი გაიმართება, 21-26 მაისს კი ამსტერდამში ევროპის პირველობაა. იქ ლონდონის ოლიმპიადის სამი ლიცენზიაც თამაშდება (ცხადია, ადგილმონაცვლეობის პრინციპის გათვალისწინებით, ანუ თუ ამ სამეულში უკვე ლიცენზირებული სპორტსმენი მოხვდება, სალიცენზიო ჩათვლიდანაც ამოვარდება და მის ადგილს მომდევნო უსაგზურო დაიკავებს), თუმცა ჩვენებისთვის მთავარი სალიცენზიო შეჯიბრება 17-23 მაისს ამერიკულ ოგდენში გასამართი მსოფლიოს თასის მესამე ეტაპია. იქ გუნდურ სამეულში შესვლა ლონდონში სამი მონაწილით გამოსვლის უფლებას მოგვცემს.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

# ვერცხლი და ბრინჯაო ბულგარეთიდან




წელულს 13-23 აპრილს ტრაბზონი მოკრივეთა სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს მოკრივეთა ნაკრები მთავარი მწვრთნელის - **რამაზ ფალიანის** ხელმძღვანელობით. ბიჭებმა ჯერ ბაკურიანში გაიარეს საერთო-ფიზიკური მომზადება, შემდეგ ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე იყვნენ აბოვიანში სომხეთის ეროვნულ გუნდთან ერთად, მერე ბულგარეთს ესტუმრნენ სტრანჯას საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც სოფიაში გაიმართა. რინგზე 35 ქვეყნის 150-მდე მოკრივე გამოვიდა. ჩვენები რვა წონით კატეგორიაში ცდიდნენ ძალებს. განსაკუთრებით იყოჩალა შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა **მიხეილ ბახტიძემ** (მძიმე წონა), რომელმაც სტარტზე გამოცდილ სერბ მეტოქეს - მილუტინ სტანკოვიჩს სძლია, ნახევარფინალში კი რუსი ანდრეი აფონინი 6 ქულით დაამარცხა. გადამწყვეტ პაექრობაში კუბელ სავონს უნდა შეხვედროდა, მაგრამ მწვრთნელებმა იგი რინგიდან მოხსნეს.

- წინ მნიშვნელოვანი სალიცენზიო ტურნირი გველის, ამიტომ ზედმეტ რისკს მოვერიდეთ, - გვითხრა რამაზ ფალიანმა. - ბახტიძე გამოცდილი მებრძოლია, თუმცა მოულოდნელობისგან დაზღვეული არავინაა. ამიტომ გადავწყვიტეთ, იგი ბაქოს საერთაშორისო ტურნირზეც არ წავიყვანოთ. ტრაბზონისთვის სპეციალური პროგრამით მოემზადება.

**- დანარჩენ მოკრივეთა გამოსვლაზე რას იტყვით?**

- 91 კილოში რევაზ ქარელიშვილმა, რომელიც საქართველოს ჩემპიონია, ნახევარფინალური პაექრობა კუბელ გომესთან დათმო და ბრინჯაოს დასჯერდა. 52 კილოში სევერიან ჭილაძემ 5 ქულით აჯობა აზერბაიჯანელ თურალ ახმედოვს, მეორე წრეში კი უელსელ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტსა და ევროპის ჩემპიონ სელბის დანებდა. გუნდის დანარჩენმა წევრებმა - მიხეილ კაზანჯიანმა (49), კობა ფხაკაძემ (60), დემნა კოტუამ (64), რომან თავაძემ (75) და იაგო კიზირიამ (81) პირველივე ორთაბრძოლები წააგეს, თუმცა ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩვენი ბიჭები აგერ სამ თვეზე მეტია, რინგზე არ გამოსულან და საშეჯიბრო გამოცდილება დააკლდათ. 56 კილოში მერაბ თურქაძემ ვარჯიშისას ტრავმა მიიღო და ტურნირზე არ გამოგვიყვანია. არც 69 კილოში გვყოლია წარმომადგენელი.

**- ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორების - ზაალ კვაჭატაძისა და ჯაბა ხოსიტაშვილის შესახებ არაფერი გითქვამთ.**

- ორივე პროფესიონალ მოკრივეთა საკლუბო პირველობაზე იყო წასული. კვაჭატაძე - ამერიკაში და იქიდან დაბრუნებულმა ბულგარეთის ვიზის აღება ვერ მოასწრო, რაც შეეხება ხოსიტაშვილს ის თურქეთში გახლდათ და ხუთიდან ოთხი შეხვედრა მოიგო, ბოლო თანაც იმ დროს, როცა ჩვენ უკვე სოფიაში ვიყავით. 75 კილოში საქართველოს ჩემპიონმა რომან თავაძემ იასპარეზა, ბაქოს საერთაშორისო ტურნირზეც („აბრეშუმის გზა"), რომელიც 5 მარტიდან დაიწყება, თავაძეს წავიყვანთ. იქიდან დაბრუნების შემდეგ რომანს და ჯაბას სპარინგშეხვედრას მოვუწყობთ ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად. აზერბაიჯანში 69 კილოში 2 მონაწილე გვეყოლება - კვაჭატაძე და გოგა ზარქუა. 91-ში კი ქარელიშვილის ნაცვლად ალეკო კარტოზია მოსინჯავს ძალებს. სოფიის საერთაშორისო ტურნირზე ყოფნისას თურქეთის ნაკრების ხელმძღვანელობასთან შევთანხმდით, რომ ტრაბზონის სალიცენზიო ტურნირამდე ორი კვირით ადრე ვესტუმრებით მასპინძლებს და პასუხსაგები შეჯიბრებისთვის მათთან ერთად მოვემზადებით.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

სუმო

# კომუსუბი ისევ გვყავს, ამჯერად გაგამარუ!

გუშინ პროფესიული სუმოს ასოციაციამ ახალი რეიტინგ-ლისტი (ბანძუკე) გამოაქვეყნა, რომელშიც ქართველი გულშემატკივრებისთვის სასიხარულო სიახლეა - 25 წლის (ახლახან გახდა) **თეიმურაზ ჯუღელს**, რომელიც **გაგამარუს** საბრძოლო სახელით ასპარეზობს, აღმოსავლეთის კომუსუბის ტიტული მიენიჭა. ასე დაუფასდა ჩვენებურს იანვრის ბაშოს ტრიუმფი: 12-3 ბალანსი, „მებრძოლი სულის" პრიზი და ვიცე-ჩემპიონობა. არადა, გაგამარუ დასავლეთის მე-10 მაეგაშირა იყო, ეს კი სასწაულებრივი ნახტომია კარიერაში. ქართველი,



რომელიც 199 კილოგრამს იწონის და ელიტაში ყველაზე მძიმეა, არასოდეს ყოფილა აქამდე მე-3 მაეგაშირაზე მაღალი რანგის რიკიში. გაგამარუს საამისოდ უმაღლეს დივიზიონში 10 ბაშოს გამართვა დასჭირდა. 67-68 ასეთია მისი ბალანსი მაკუუჩის დივიზიონში.

ახალ ბანძუკეში ყველაზე დიდი სიახლე სწორედ გაგამარუს დაწინაურებაა. ჩვენებურმა თანამემამულეების, **ლევან ცაგურიას (კოკაი)** და **ლევან გორგაძის (ტოჩინოშინი)** მიღწევები გაიმეორა. ახლა სუმოს სამყაროში გაგამარუს წინ მხოლოდ 8 სუმოისტია: დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო**, ჩემპიონები **ბარუტო**, **ჰარუმაფუჯი**, **კოტოოშუ**, **კისენოსატო**, სეკივაკეები **კაკურიუ** და **ამინიშიკი**.

წინ ნაიწია რეიტინგში 24 წლის ტოჩინოშინმაც. ლევანმაც ბრწყინვალედ იასპარეზა იანვარში (10-5). შედეგად, ის მე-9 მაეგაშირობიდან მე-3 მაეგაშირობამდე დააწინაურეს. კოკაი ძურიოს დივიზიონში ასპარეზობს. წინა ბაშო მისთვის უარყოფითი ბალანსით დასრულდა (7-8), მაგრამ „შავი ზღვა" დიდად არ დაქვეითებულა: იყო ძურიოს მე-4 რიკიში, გახდა - მე-5. მაკუუჩის დივიზიონში მხოლოდ ერთი დებიუტანტია - **იკიოი**.

მარტის ბაშო (ჰარუ ბაშო) ოსაკაში 11 მარტს დაიწყება და 25-ში დასრულდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

# კიდევ ერთი საფეხურით

გუშინ ახალი საჩოგბურთო რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა. ჩვენმა პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** ერთი საფეხურით წაიწია, ახლა ის 822 ქულით მსოფლიოს 74-ე ჩოგანია. ეს კი ანას კარიერის მორიგი მიღწევაა. წყვილთა თანრიგში ჩვენი თანამემამულე მე-80 (+8) ჩოგანი გახდა მემფისის ტურნირის ნახევარფინალში გასვლის წყალობით. სხვები: 186 (+1) **მაკა ჩახნაშვილი** - 340 ქულა; 264 (-2) **სოფიო შაფათავა** - 208; 363 (+1) **სოფიო ქვაცაბაია** - 122; 380 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 111; 419 (+1) **ეკა გორგოძე** - 93; 488 (-2) **თათია მიქაძე** - 70; 816 (-4) **ნათია გეგია** - 20; 1011 (-8) **ანი გოგვაძე** - 10. ვაჟები: 1 226 (+1) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1 334 (-3) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 466 (-1) **ალექსანდრე მეტრეველი** - 2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გახსენება



# ჩვენი მორისი

წელიწადი გასრულდა მას შემდეგ, რაც მოულოდნელად წავიდა ჩვენგან რაინდი კაცი, ღირსეული პიროვნება, მუშკეტერთა დიდი ოჯახის სახელოვანი წევრი, გუნდურში საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, საკავშირო თასის მფლობელი, ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ორგზის პრიზიორი მორის სახვაძე, რითაც უდიდესი დანაკლისი განვიცადეთ მოფარიკავეებმა და მთლიანად ჩვენი ქვეყნის სპორტულმა სამყარომ.

დღეს იგი 75 წლისა გახდებოდა.

ბატონო მორის!

წლების განმავლობაში სახელოვნად განაგრძობდი ქართული საფარიკაო სკოლის შესანიშნავ ტრადიციებს როგორც სპორტსმენი და შემდეგ როგორც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, რომელსაც დიდი პატივით გიწვევდნენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ თამაშებში; დიდი სიყვარულითა და რუდუნებით აკეთებდი საქვეყნო საქმეს, რითაც უდიდესი პატივისცემა და ავტორიტეტი მოიხვეჭე ფარიკაობის სამყაროში. წინა თაობებისა და თანამედროვეთა შრომის დამფასებელი, ღირსეული მამულიშვილი თავმდაბლობით გამოირჩეოდი. წინა პლანზე მოყვასის სიყვარულს აყენებდი, მუდამჟამ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღ სულს ეძებდი ალღოიანი პროფესიონალი, უტყუარი მეგობრობის, ძმობის და კაცობის სიმბოლო, ამიტომაც უყვარდი ყველას სიკეთის მთესველი.

ჯერაც არ გაგვნელებია სამუდამო განშორებით გამოწვეული სევდა და გულისტკივილი. მუდამ კეთილი საქმეების ინიციატორი იყავი. ვფიქრობთ და გვიკვირს, საიდან იღებდით ამდენ ენერგიას, ულევ სიყვარულს, რომელსაც ასე უშურველად გასცემდი.

კაცურად იცხოვრე და სიკეთეს იმკიდი სიცოცხლის ბოლომდე. ძალიან დაგვაკლდა უშენობა. ვაგლახ, რომ დღეს შენს დაბადების დღეს უშენოდ აღვნიშნავთ შენი მეგობრები.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს და საუკუნო სასუფეველი დაგიმკვიდროს.

*შენი მეგობრები: არჩილ გოგელია, იური ოსიპოვი, ვლადიმერ აფციაური, გურამ კოსტავა, გივი ცაგარელი, გურამ ჯაიანი, ნოდარ დიდია, დავით სახვაძე, მირიან კიკალიშვილი, მერაბ ბაზაძე, სვეტლანა სვანიძე, ჯულიეტა გიორგაძე, მურმან ასათიანი, გიორგი დავითიანი, ლიანა შეყილაძე, ლუდვიგ ღლანიძე, იროდი ბეჟაშვილი, ვლადიმერ კანკავა, ვლადიმერ გოიაშვილი, გივი ცქიტიშვილი, ვლადიმერ ნუცუბიძე, მურთაზ სახვაძე.*

ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი თანაგრძნობას უცხადებს ნარსულში ცნობილ მოჭიდავეს, პოლიციის გენერალ გია ყურაშვილს მამის გარდაცვალების გამო.



## კალათბურთი

● ქართველები იტალიაში






# შერმადინის აფეთქება და გაქცეული მსაჯები

იტალიის ჩემპიონატის მე-20 ტურში ოთხივე ქართველმა გაიმარჯვა. შაბათს **ნიკა მეტრეველის** „დინამო სასარიმ“ სარდინიაზე „აველინო“ დაამარცხა (87:73) და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ალზევდა. თუმცა კვირას „მილანმა“ და **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმაც“ მოიგეს და დინამოელებს დაეწივნენ. სამივე გუნდს 13-13 გამარჯვება (7-7 წაგება) აქვს. პირველ პოზიციაზე კი სიენას „მონტეპასკია“, რომელმაც მე-20 ტურში „რომასთან“ მინიმალური ანგარიშით დათმო - 76:77.

სანიკიძისა და მეტრეველის კლუბებს კვალში უდგას **მანუჩარ მარკოიშვილისა** და **გიორგი შერმადინის** „კანტუ“, რომელმაც კვირას დაძაბულ ორთაბრძოლაში „ბენეტონი“ დაამარცხა - 79:67. კანტუელებს სატურნირო ცხრილში ერთით ნაკლები, 12 მოგება უწერიათ.

■ ■ ■

შეგახსენებთ, რომ მანუჩარ მარკოიშვილი საქართველოდან 2002 წელს ტრევიზოს „ბენეტონში“ გადავიდა და იქიდან შეაბიჯა დიდ კალათბურთში. ყოფილი გუნდის ძლევაში მანუჩარმა დიდი წვლილი შეიტანა. ამ საქმეში მას სათანადოდ დაეხმარა გიორგი შერმადინი. ვიდრე ქართველი კალათბურთელების მონაგარს გადავხედავდეთ, შეხვედრის გადამწყვეტ მომენტში ჩვენიანების აქტიურობაზე მოგახსენებთ.

31-ე წუთისთვის „კანტუ“ 7 ქულის სხვაობით იგებდა (58:51). შერმადინმა ორი საჯარიმოთი, ხოლო მარკოიშვილმა ორი ორქულიანით თანაგუნდელები 64:53 დააწინაურეს. შერმადინი ემოციურადაც აფეთქდა: ერთ ეპიზოდში მეტოქის კალათს შეუტია, თუმცა იგი წესების დარღვევით შეაჩერეს. ქართველს მოეჩვენა, რომ მეტოქემ მასზე ზედმეტად იუხეშა, წამოუხტა და გაიწია, თუმცა იქვე დროულად მიირბინა მარკოიშვილმა და თანაგუნდელი ეპიცენტრს მოაშორა. შერმადინმა ტექნიკური შენიშვნა მიიღო, რამაც „კანტუს“ გულშემატკივარი გააღიზიანა... რამაც „კანტუს“ გულშემატკივარი გაახელა და მსაჯს მანამ უსტვინეს, სანამ თამაშის გაგრძელება არ გადააფიქრებინეს. სამივე არბიტრი გასახდელში შევიდა და ვიდრე მათ დაიყოლიებდნენ, კალათბურთელებს 4-5 წუთი მოუწიათ მოცდამ.

გიორგი შერმადინი სათადარიგოთა სკამზე დაწყნარდა და მოედანს მალევე დაუბრუნდა. დაბრუნდა და ოთხი ჯარიმაც ჩააგდო, რასაც **ლეუნენმა** და მარკოიშვილმა 4 ქულა მიაყოლეს და სირენამდე 4 წუთით ადრე „კანტუმ“ 11-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა (72:61). საბოლოოდ 79:67 მასპინძელთა სასარგებლოდ.

დროა სტატისტიკასაც გადავხედოთ 22 წუთში გიორგიმ 14 ქულა, 3 მოხსნა, 3 ჩაჭრა და თითო პას-დაფარება მოაგროვა. მან 6-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, საჯარიმოს ხაზიდან კი მაღალი სიზუსტე გამოავლინა და 8 ცდიდან ყველა კალათში მოათავსა.

მანუჩარ მარკოიშვილმა 28 წუთი ითამაშა. მან 8-დან 4 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი და 2-დან ორივე საჯარიმო ჩააგდო. მის ანგარიშზე საბოლოოდ 16 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა დაგროვდა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით მას „კანტუში“ მეორე შედეგი (16) ჰქონდა, შერმადინი კი მესამე იყო (15).

■ ■ ■

პირველ აბზაცში არ დაგვიწერია, რა ანგარიშით მოიგო „ვირტუსმა“. მისი მეტოქე აუტსაიდერი „ტერამო“ იყო და სხვაობაც ლოგიკური დაფიქსირდა - 86:71.

ვიქტორ სანიკიძეს ორმაგ დუბლამდე 1 ქულა დააკლდა. მან „ვირტუსის“ სასტარტო ხუთეულში ითამაშა, მოედანზე 29 წუთი დაყო, 4-დან 1 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. საბოლოოდ სანიკიძემ 9 ქულა, 11 მოხსნა და 2 პასი დააგროვა. ბოლონიელთა ბომბარდირი **დაგლას რობერტსი** გახდა, რომელმაც პირად ანგარიშზე 23 ქულა ჩაიწერა.

■ ■ ■

ნიკა მეტრეველის „სასარიზეც“ ვთქვათ, რომელმაც „აველინოს“ სძლია. ქართული პასპორტის მქონე, მაგრამ ჩვენს ნაკრებში ვერმოხვედრილმა **ქუინტონ ჰოსლიმ** ბრწყინვალედ ითამაშა: 32 წუთში 28 ქულა, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა, 3 დაფარება და 2 პასი მოაგროვა. ამ შედეგით ჰოსლიმ დამაჯერებლად გაუსწრო სხვა მატჩების მონაწილეებს და დამსახურებულად გახდა ტურის საუკეთესო მოთამაშე.

ნიკა მეტრეველმა 13 წუთი ითამაშა, 2 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა.

■ ■ ■

მომდევნო ტურში, 4 მარტს, სანიკიძის „ვირტუსი“ სტუმრად „ვარეზეს“ შეხვდება, „კანტუ“ „აველინოსთან“ გასვლაზე ითამაშებს, ხოლო „დინამო სასარი“ დაისვენებს.

● ლეგიონი

# ნახევარფინალში ნახევარი ქართველით

აღმოსავლეთ აზიის საკლუბო ჩემპიონატში **ნიკა ცქიტიშვილის** „მაჰრამმა“ ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალი ორ მოგებამდე იყო. მაჰრამელებმა ჯერ სტუმრად აჯობეს იორდანიულ „არამექსს“, შემდეგ - შინ. განმეორებითი მატჩი, რომელიც ირანში გაიმართა, „მაჰრამმა“ 91:55 მოიგო.

ნიკა ცქიტიშვილს მეტად შეზღუდული სათამაშო დრო ერგო: 12 წუთი ითამაშა. ამ მონაკვეთში მან 4 ქულა, 2 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. ალბათ, მკითხველსაც აინტერესებს, რატომ ითამაშა ნიკამ მხოლოდ 12 წუთი. პასუხს მატჩის ოქმიდანვე მივიღებთ: სკიტამ მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და „მაჰრამმა“ პირველივე ათწუთეულში გადაწყვიტა გამარჯვებულის ბედი - მეოთხედი სარკისებური ანგარიშით, 31:13 მოიგო. მეორე ტაიმში მწვრთნელს გუნდის ლიდერების დახმარება აღარ დასჭირვებია.

ჩემპიონატის ნახევარფინალში „მაჰრამს“ კარგად ნაცნობი „ზობ აჰანი“ დაუპირისპირდება, რომელმაც მეოთხედფინალიდან ლიბანური „ალ მუტაჰედი“ გამოაგდო. „აჰანს“ „კარგად ნაცნობი“ იმ მარტივი მიზეზით ვუწოდეთ, რომ ისიც ირანული კლუბია. მიმდინარე ჩემპიონატში, ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა „მაჰრამის“ მხარესაა.



● ქართველი საბერძნეთში

# მარცხი აუტსაიდერთან



**ვლადიმერ ბოისას** „პანიონიოსი“ საბერძნეთის ჩემპიონატში ზედიზედ ორ აუტსაიდერს ეთამაშა. ჯერ შინ „მარუსისთან“ 97:57 გაიმარჯვა, შემდეგ „იკაროსთან“ სტუმრად 64:74 დამარცხდა. საინტერესოა, რომ ეს იყო იკაროსელთა მეხუთე გამარჯვება მიმდინარე სეზონში. ამ მარცხს პანიონიოსელების სატურნირო ცხრილზე გავლენა არ მოუხდენია - ბოისას გუნდი ისევ მეოთხე ადგილზეა (13 მოგება, 6 მარცხი).

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდმა მოედანზე 18 წუთი გაატარა, 1 ორქულიანთან ერთად 2 საჯარიმო ააცილა და მოედანი უქულოდ დატოვა, თუმცა 5 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება ისე მოაგროვა, ბურთი არ დაუკარგავს.

საბერძნეთის ჩემპიონატში „პანიონიოსი“ მომდევნო შეხვედრას 7 მარტს, შინ, „აგორის“ წინააღმდეგ გამართავს.

● ნატურალიზებულნი

# გრინიც ათამაშდა

სწორი ნაბიჯი გადადგა საქართველოს ნაკრების ყოფილმა უკანახაზელმა **ტორინ გრინმა** (მას 2011 წელს ჩვენს ეროვნულში არ უთამაშია, თუმცა მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** კანდიდატთა შორის კვლავ ასახელებს) - შუა სეზონში ესპანური „გრან კანარია“ დატოვა და თურქულ „თოფაზს“ მიაშურა. ამის მიზეზი სათამაშო დრო იყო: ფეხის ტრავმის მოშუშების შემდეგ გრინმა კანარელთა რიგებში ძველი პოზიციები ვერ დაიბრუნა ამიტომ სათამაშო პრაქტიკისთვის თურქეთში გადავიდა.

„თოფაზში“ ტორინმა საუკეთესო მატჩი განვლილ უქმეებზე ჩაატარა: 30 წუთში 12 ქულა, 6 პასი, 4 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა. რაც მთავარია, თანაბარ ბრძოლაში თოფაზელებმა სტუმრად „ოლინ ერდინე“ დაამარცხეს - 77:68.

ამ მოგებით გრინის გუნდმა მეშვიდე ადგილზე აინაცვლა. 3 მარტს „თოფაზი“ მესამეადგილოსან „ბანვითს“ უმასპინძლებს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




● ნატურალიზებულნი

# რეალთან პატარა კაცსა...




ესპანეთის რეგულარულ ჩემპიონატში პირველობისთვის ცხარე ბრძოლა მიმდინარეობს „რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის. მადრიდელები 17 მოგებით მეორე ადგილზე არიან, კატალონიელები 18 გამარჯვებით - პირველზე. მათთვის თითო მოგებას ოქროს ფასი აქვს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მადრიდის „რეალმა“ „გრან კანარიას“ დედაქალაქში შანსი არ დაუტოვა.

პირველ მეოთხედში მასპინძლები 18:9 დაწინაურდნენ, რის შემდეგაც კუნძულელებისთვის მიახლოვების საშუალება არ მიუციათ. საბოლოოდ 90:72 „რეალის“ სასარგებლოდ.

„გრან კანარიას“ სასტარტო ხუთეულში ითამაშა საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა **მარკიზ ჰეინსმა,** თუმცა მადრიდული დაცვის წინააღმდეგ გაუჭირდა: 2-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და ხუთივე სამქულიანი აუცდა. საბოლოოდ 18 წუთში ჰეინსმა 2 ქულა და ამდენივე პასი მოაგროვა. კანარელებს აქცენტი პერიმეტრიდან ტყორცნებზე ჰქონდათ აღებული, 25 სამქულიანიდან 11 გამოიყენეს. ამ მხრივ **მიშელ ბრამოსი** გამოირჩა, რომელმაც 6-დან 5 სამიანი გამოიყენა.

„გრან კანარია“ ესპანეთის ჩემპიონატში მე-13 ადგილზეა. მის ანგარიშზე 8 გამარჯვებაა (13 თამაშიდან). ჰეინსის გუნდი მომდევნო შეხვედრას 4 მარტს „მანრესას“ წინააღმდეგ საშინაო არენაზე ჩაატარებს.

ლეგიონერები



ანტონ ფეიქრიშვილი

# წითელ-ყვითელი ბარათების ფრიალი ლიონში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ორი გამოტოვებული შეხვედრა გაიმართა, რომელთაგან ერთი სკანდალურად დასრულდა.

აუტსაიდერმა **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონმა“ შინ მიიღო **ვასილ კაკოვინის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ბრივი“. თამაში სტუმრებმა 22:9 მოიგეს და საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

თამაში ძალზედ დაძაბული გამოდგა. რადგან ორივე გუნდი დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვის, მატჩის შედეგს, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცეს. პირველი ტაიმი ფრედ 9:9 დასრულდა.

მეორე ნახევარში ვითარება იმდენად დამძიმდა, რომ 50-ე წუთზე ჯგუფური ჩხუბი ატყდა. მატჩის არბიტრმა ბრიველ **პაბლო ჰენსა** და ლიონელ **ტონი ტესტას** წითელი ბარათი უჩვენა. მათ საკითხს საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის სადისციპლინო კომიტეტი უახლეს სხდომაზე განიხილავს.

ამის გარდა, არბიტრმა თამაშის სხვადასხვა დროს მასპინძელთა სამი და სტუმართა ორი მორაგბე გაასინბინა. მათ შორის იყო ხინჩაგიშვილიც, რომელმაც სრულად ითამაშა და ათი წუთით იძულებითმა დასვენებამ მე-16 წუთიდან მოუწია.

კავთიძე თამაშში 75-ე წუთიდან ჩაერთო, ნატრიაშვილი და რატიანიძე განაცხადში არ იყვნენ, კაკოვინმა საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

მეორე გამოტოვებულ შეხვედრაში **ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა“ შინ მოუგო **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს“ 23:12 და პელი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს.

ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაშია და 56-ე წუთზე შეცვალეს, შეყლაშვილი თამაშში 72-ე წუთიდან ჩაერთო.

მეორე დივიზიონში 21-ე ტურის შემდეგ, სატურნირო ცხრილში რაიმე მნიშვნელოვანი არაფერი შეცვლილა. აქ დამაჯერებლად ისევ **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი“ ლიდერობს. ‘ალპელებმა“ შინ „ექსი“ მიიღეს და დიდი ანგარიშით 39:9 მოუგეს. მენაბდიშვილი განაცხადში არ იყო.

ლიდერთა შორისაა **დავით ლოსაბერიძისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „პო“, რომელმაც სტუმრად წააგო ერთ-ერთ აუტსაიდერ „ნარბონთან“ - 6:15. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ. „პომ“ მარცხის მიუხედავად 59 ქულით მესამე ადგილი მაინც შეინარჩუნა.

დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის თედო ზიბზიბაძის, დავით დადუნაშვილისა და ალექსანდრე მარგველაშვილის „პერიგო“, რომელმაც 21-ე ტურში შინ დაამარცხა **კახაბერ კობერიძის** „ალბი“ - 33:27.

ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, დადუნაშვილი 58-ე წუთზე შეცვალეს, მაგრველაშვილმა მოედანი 10 წუთში დატოვა, კობერიძე განაცხადში არ იყო. „პერიგოს“ ახლა 26 ქულა აქვს და ბოლოსწინა მე-15 ადგილზეა.

პერიგოელებს 11 ქულით უსწრებს და სატურნირო ცხრილში მე-13 საფეხური უკავია **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ორიაკს“, რომელმაც შინ მინუმალური სხვაობით წააგო „ოშთან“ - 20:21.

ასეიშვილი თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო, ნაცარაშვილი მოედანზე შვიდი წუთის შემდეგ გამოჩნდა, დათუნაშვილმა საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა“ შინ მოუგო მეორეადგილოსან „დაქსს“ 23:16. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ. ტარბელები 46 ქულით მე-10 ადგილზე არიან.

**I დივიზიონი**

**გამოტოვებული მატჩები**

აჟენი-კასტრი 23:12

ლიონი-ბრივი 9:22.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 69 ქულა, 2. კლერმონი - 61, 3. ტულონი - 52, 4. მონპელიე - 48, 5. კასტრი - 48, 6. სტად ფრანსე - 42, 7. მეტრო რასინგი - 41, 8. აჟენი - 40, 9. ბორდო - 37, 10. ბრივი - 33, 11. პერპინიანი - 31, 12. ბაიონი - 29, 13. ბიარიცი - 25, 14. ლიონი - 24.

**XIX ტური**

ტულონი-მონპელიე, მეტრო რასინგი-ბაიონი, ბიარიცი-ბორდო, ბრივი-სტად ფრანსე. აჟენი-პერპინიანი, კლერმონი-ტულუზი, კასტრი-ლიონი.

**II დივიზიონი**

**XXI ტური**

პერიგო-ალბი 33:27, ორიაკი-ოში 20:21, ტარბი-დაქსი 23:16, ბეზიე-ლა როშელი 26:34, ბურგუენი-ოიონაქსი 24:23, ნარბონი-პო 15:6, გრენობლი-ექსი 39:9, მონ დე მარსანი-კარკასონი 20:15.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. გრენობლი - 73 ქულა, 2. დაქსი - 66, 3. პო - 59, 4. მონ დე მარსანი - 56, 5. ლა როშელი - 55, 6. ალბი - 52, 7. ოში - 50, 8. კარკასონი - 48, 9. ბურგუენი - 47, 10. ტარბი - 46, 11. ექსი - 44, 12. ოიონაქსი - 43, 13. ორიაკი - 37, 14. ნარბონი - 33, 15. პერიგო - 26, 16. ბეზიე - 22.

**XXII ტური**

ალბი-ორიაკი, ტარბი-ბეზიე, ოში-ბურგუენი, ექსი-ნარბონი, კარკასონი-პერიგო, პო-გრენობლი, მონ დე მარსანი-ოიონაქსი, ლა როშელი-დაქსი.

ექვსი ერი

# პომები მსაჯს უჩივიან, ურჩხულები კი ზეიმობენ

ექვსი ერის გათამაშების მესამე ტურის შემდეგ გათამაშების ლიდერი გამოიკვეთა. უელსის ნაკრები წლეულს ყველაზე უკეთ გამოიყურება და ამ გუნდის მიერ წინა მატჩებში ნაჩვენებმა თამაშის ხარისხმაც ცხადყო, რომ ის ფავორიტია.

ამის დასტურად ინგლისში, „თვიქნემზე“ მასპინძლებთან მოპოვებული გამარჯვებაც გამოდგება. „წითელმა ურჩხულებმა“ მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე შეცვლაზე შესული შუამარბის, **სკოტ ვილიამსის** ლელოს წყალობით ინგლისის ეროვნული გუნდი 19:12 დაამარცხეს.

უელსელებმა, როგორც სჩვევიათ, აკადემიურ სტილში, მკაცრი დაცვითა და სწრაფი, ეფექტური შეტევის მეშვეობით საწყის 20 წუთში მასპინძლებს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს. „პომებმა“ მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს თამაშის დალაგება და 23-ე წუთზე **ოუენ ფარელის** საჯარიმოთი ანგარიშიც გახსნეს. პირველი ნახევარი მასპინძლებმა 9:6 მოიგეს.

შესვენების შემდეგ ინგლისლები ფარელის საჯარიმოთი კიდევ უფრო დაწინაურდნენ - 12:6, თუმცა თამაშის დასრულებამდე დარჩენილ 35 წუთში მონაგარს ველარაფერი შესძინეს. უელსელებმა კი, ჯერ ფულბეკის, ლეიგ ჰალპფენის ორი საჯარიმოთი გაათანაბრეს ანგარიში, მერე კი გამარჯვების მომტანი ლელოც მიითვალეს.

ალსანიშნავია, რომ მატჩის ბოლო წუთზე ინგლისელთა გარემარბმა **დევიდ სტრიტლმა** ლელო გაიტანა, თუმცა მთავარმა არბიტრმა და ვიდეორეფერიმ ის ვერ დააფიქსირეს.

უაღრესად დაძაბული გამოდგა ედინბურგში შოტლანდიისა და საფრანგეთის ნაკრებების დაპირისპირება. „ლე ბლო“, როგორც ჩანს, უელსის ეროვნული გუნდის ერთადერთი კონკურენტია და, სავარაუდოდ, სწორედ მათ დაპირისპირებაში გაირკვევა ექვსი ერის გამარჯვებულის ვინაობა.

იქამდე კი ფრანგებმა საკმაოდ ძნელი გამარჯვება მოიპოვეს „სკოტებთან“ - 23:17. პირველ ნახევარში მასპინძლები აშკარად სჯობდნენ ბევრად უფრო ტიტულოვან მეტოქეს და 25-ე წუთისთვის 10:0 უგებდნენ. ფრანგებმა ტაიმის მიწურულისთვის შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და ანგარიში გაათანაბრეს - 10:10.

შესვენების შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ანგარიშში ჯერ ისევ „ნარშავები“ დაწინაურდნენ, თუმცა მალევე ფრანგთა გარემარბის **ჟულიენ მალზიოს** შესანიშნავი ფლანგური გარღვევა ფულბეკის, **მაქსიმ მედარის** ლელოთი დასრულდა. ამას **მორგან პარას** საჯარიმო და **ლიონელ ბუქსის** არეკნი მოჰყვა, რისი წყალობითაც „ლე ბლო“ წლეულს ჯერ კიდევ დაუმარცხებელი დარჩა.

მესამე შეხვედრაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ირლანდიის ნაკრებმა შინ იტალიის ეროვნულ გუნდს დიდი ანგარიშით სძლია - 42:10. „სკუადრა აძურამ“ მასპინძლებს წინააღმდეგობა მხოლოდ პირველი 30 წუთის განმავლობაში გაუწია. „სამყურებმა“ საბოლოოდ მეტოქეს ხუთი ლელო გაიტანეს და მატჩის გადარჩენის შანსიც არ დაუტოვეს.

**ირლანდია-იტალია 42:10**

**ირლანდია:** 5ლ - ბოუი (2), ირლსი, კარტი, ტრიმბლი. 4გ,3ს - სექსტონი.

**იტალია:** ლ - პარისე. გ,ს - ბოთი.

**ინგლისი-უელსი 12:19**

**ინგლისი:** 4ს - ფარელი.

**უელსი:** ლ - სკ. ვილიამსი. 4ს,გ - ჰალპფენი.

**შოტლანდია-საფრანგეთი 17:23**

**შოტლანდია:** 2ლ - ჰოგი, ლ.ჯოუნზი. 2გ - ლაიდლოუ, ვეირი. ს - ლაიდლოუ.

**საფრანგეთი:** 2ლ - ფოფანა, მედარი. 2ს,2გ - პარა. ა - ბუქსი.

**ექვსი ერი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. უელსი - 6 ქულა, 2. საფრანგეთი - 4, 3. ინგლისი - 4, 4. ირლანდია - 2, 5. შოტლანდია - 0, 6. იტალია - 0.

**4 მარტი**

საფრანგეთი-ირლანდია

**10 მარტი**

უელსი-იტალია

ირლანდია-შოტლანდია

**11 მარტი**

საფრანგეთი-ინგლისი

ზე რაგბი

# ფავორიტები იწყებენ და იგებენ

გასულ უქმეებზე მსოფლიოს რაგბის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის, ზე რაგბის გათამაშება დაიწყო. პირველ ტურში, როგორც მოსალოდნელი იყო, თითქმის ყველა ფავორიტმა მოიგო.

A ჯგუფში ლიდერის, მგეზავი **ქუადე კუპერის** გარეშე მოთამაშე ბრისბენის „რედსმა“ სტუმრად დაამარცხა ამბიციური სიდნეის „ვორათაზი“ - 25:21. ამ შეხვედრაში შესანიშნავად ითამაშა კუპერის 22 წლის ახალზელანდიელმა დუბლიორმა **მაიკლ ჰარისმა**, რომელმაც გუნდს 20 ქულა მოუტანა (ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა).

ამავე ჯგუფში კანბერას „ბრამბიზმა“ შინ მოუგო პერთის „ფორსს“ - 19:17. „მელბურნ რებლზი“ კი ამჯერად ისვენებდა.

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბრამბიზი-ფორსი | 19:17 |
| ვორათაზი-რედსი | 21:25 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რედსი - 4 ქულა, 2. ბრამბიზი - 4, 3. ფორსი - 1, 4. ვორათაზი - 1, 5. მელბურნ რებლზი - 0.

**II ტური**

მელბურნ რებლზი-ვორათაზი

რედსი-ფორსი

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-კრუსეიდერზი | 18:19 |
| ჩიფსი-ჰაილენდერზი | 19:23 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰაილენდერზი - 4 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 4, 3. ბლუზი - 1, 4. ჩიფსი - 1, 5. ჰარიკენზი - 0.

